საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვეული სიფიცვაა, ფაფიოლებით და ჭიანებით ბეჭ-თის გაფანა ყველა უკიდურესობაზე უსამაგალოსია.

პარასკევი, 29 სექტემბერი. 2017 წ. №199 (8336), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

„ჩვენ ვერ ავუკრძალავთ ჩამოსვლას, მაგრამ სტუმარმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს და მასპინძელმა თავისი“

კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივით გუშინ დილის 10:00 საათიდან, სამების ტაძარში ერის გამთლიანებისთვის ლოცვები შესრულდა.

ილია მეორემ მრევლს მოუწოდა, რომ ყოველ ხუთშაბათს, სამების ტაძარში, ერის გამთლიანებისთვის სალოცავად შეიკრიბონ. პატრიარქი მრევლს შეხვდა და ქართული მიწების გასხვისების საკითხზეც ილაპარაკა.

„საქართველოს გააჩნია მიზიდულობა, მაგრამ ეს გვაწყობს ჩვენ თუ არა? რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ავუკრძალავთ ჩამოსვლას ვერავის, მაგრამ სტუმარმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს და მასპინძელმა თავისი“, – განაცხადა პატრიარქმა.

ქადაგების დროს პატრიარქმა აფხაზური ეკლესიის შესახებ განცხადება გააკეთა.

საქართველოს პატრიარქს მიმართა მამა დავით კონჯარიამ: **„სანამ აფხაზეთის ტერიტორიას დავიბრუნებთ, პირველ რიგში, აფხაზები უნდა დავიბრუნოთ, თქვენო უწმინდესობავ, ალბათ, იმიტომ, რომ მტერმა ამით მოახერხა ჩვენი ხალხების დაპირისპირება. კონკრეტული პროექტი გვაქვს, თქვენო უწმინდესობავ, ჩვენ ამაზე ბევრი ვიფიქრეთ, თითო ტაძარმა დაიმეგობროს ერთ ოჯახი აფხაზი, ჩამოიყვანოს, გაიცნოს ეს ოჯახი, გააცნოს მრევლი, დაეხმაროს, დაიმეგობროს“.**

რამაზ საყვარელიძე: როგორც ადრე ფეოდალები ძიძგნიდნენ საქართველოს... ②③

ნაცკაცუნა

„გაბრაზებული თბილისელი“: მეროგბას არვის დავუთმობ!.. ④

ვინ დანიშნა შუმი რესპუბლიკელი ② ლევან ბერძენიშვილი სხვათა ნიჭის მზომელად?!.



ქართველი მილიარდერი ③

ანზორ კიკალიშვილი ანაკლიაში მიწის სანაცვლოდ 6 მლნ-ს ითხოვს

საქართველოს კულტურის მინისტრმა სომხეთი საკადრის ადგილზე მოსვა ⑦

ჯერ ეტიკეტი ნახეთ, მერე შეიძინეთ! ⑪

ჯუანშერ ვასაძე: ვინ იყვნენ პირველი ⑥ ქართველი დასავლეთ-ევროპელები?

გელა ქოქიაშვილი: ჩვენი დაუვიწყარი კომპოზიტორები ⑤

ქართველი კალმანი ფოთა მილორავა

◎ ისეთმა ფურმა დამწიხლოს...

ვინ დანიშნა შუმი რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი სხვათა ნიჭის მზომელად?!..

ასეა, ბევრს თავი შუმ დემოკრატად მოაქვს, ტრაბახობს, ბაქიბუქის კორიანტელს აყენებს, იმის გამო, რომ კომუნისტურად არ ვფიქრობდი, საბჭოთა დილეგის ცივი კედლები მახეხვინესო. საბჭოთა კავშირში სხვაგვარად ვერ იაზროვნებდი, შენი აზრები საბჭოთა სავარცხლით უნდა გქონოდა დავარცხნილიო...

და აი, ეს კაცი, რომელიც თავის პოლიტიკურ პატიმრობას წარამარა გვახსენებს, თავი ანტიკურობის დიდ მცოდნედ მოაქვს, ყოველ საკითხზე ბრტყელ-ბრტყელად გველაპარაკება, არავის სხვაგვარად აზროვნების უფლებას არ აძლევს, ყველა ყველაფერზე ისეთივე აზრის უნდა იყოს, რა აზრისაც თვითონ ეს ენაგაჩლიფინებული ყოფილი პოლიტიკური პატიმარია.

სათქმელი ძალიან რომ არ გავაჭიაყელავო, მოკლედ ვიტყვი. საქმე ეხება რუსეთში მოღვაწე ორ დიდ ხელოვანს — ნიკოლოზ ცისკარიძეს და ზურაბ წერეთელს. ცისკარიძე რუსული ბალეტის აკადემიის რექტორია, ხოლო წერეთელი — რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი. ეს ორივე ეთნიკურად ქართველი, როგორც პუტინის პოლიტიკის არამოწინააღმდეგენი, უკრაინელებმა „შავ სიაში“ შეიყვანეს.

კი, ბატონო, ლევან ბერძენიშვილს სრული უფლება აქვს ცისკარიძეც და წერეთელიც აკრიტიკოს პოლიტიკური პოზიციის გამო, მაგრამ ლანძღვა რა საკადრისია!

ნუთუ აშკარად გაბიაბრუებული რესპუბლიკური პარტიის ეს ერთ-ერთი ძველი ლიდერი ვერ აცნობიერებს, რა დონის ხელოვანია გინდ ცისკარიძე და გინდ წერეთელი. მერე რა, რომ რუსეთში მოღვაწეობენ, განა ისინი ბერძენიშვილისოდენას მაინც არ აკეთებენ საქართველოსთვის?!

არაო, ბრძანებს ეს ყველა სხვაზე მეტად ბრძენი რესპუბლიკელი, რომლის აზრითაც ზურაბ წერეთელიც და ნიკოლოზ ცისკარიძეც მხოლოდ ეთნიკურად არიან ქართველები.

რაც შეეხება ზურაბ წერეთელს, თურმე ისიც საეჭვოა, არის თუ არა იგი საქართველოსთვის ქართველი. ეს ის ზურაბ წერეთელიაო, — განაგრძობს სხვაგვარად აზროვნებისთვის ერთ დროს პოლიტიკური პატიმარი ბერძენიშვილი, — რომელმაც თბილისში ძეგლი „დაგვარჭო“ თავზეო. იგი აბსოლუტურად უნიჭო შემოქმედია, რომელმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა რუსეთის ინტერესების გატარებასო. და კიდევ: სხვათა შორის, რას დაკარგავს მსოფლიო, ამ ორი მოღვაწის „ძეგლები“ თუ არ დაიდგმებაო? ორივენი ჩვეულებრივი გაქნილი მაფიოზები არიანო.

ჯერ სადა ხართ...

თურმე რუსეთის ტრაგედიაა, რომ ზურაბ წერეთელი დიდი კაცია ხელოვნების სფეროში. რუსეთში უამრავი გენიოსი მოღვაწეობდა და მოღვაწეობს (SIC!) და წერეთელზე უკეთესი დირექტორი ვერ იპოვეს დასანიშნადო?!

მე კი მგონია, რომ ეს „უნიჭო“ ზურაბ წერეთელი ბევრით თუ არა, ცოტათი მაინც ნიჭიერია ამ ვაიკრიტიკოს ლევან ბერძენიშვილზე, რომელმაც მართალი გითხრათ, დიდი ხანია, თავი მოაბეზრა ქართველ საზოგადოებას თავისი ტელეჩლიფინით.

ისე, ნუთუ თავადვე ვერ ხვდება, რომ თავი უნდა დაანებოს სხვათა ნიჭის მზომელობას და არცთუ იშვიათად ანტიქართულ მავნე რიტორიკას...

აქ ურიგო არ იქნება, თუ ერთ ძველ ქართულ ანდაზას მოვიშველიებთ, რომელიც გვირჩევს, რომ ყველამ ჩვენს ბოზ მამიდას მოვუაროთ. მით უმეტეს, თანაც კიდევ, თუ ისეთი ფური ვართ, სხვაზე მეტს რომ არ იწველება...

გურამ წიკლაური

ირაკლი კობახიძე: ბოლო წლების განმავლობაში თვისობრივად ამაღლდა ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტი

მას შემდეგ, რაც სასამართლო გათავისუფლდა იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის დიქტატისგან, გაიზარდა იურიდიული სამსახურის ეფექტიანობა, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ დამოუკიდებელი იურიდიული დახმარების შესახებ რეგიონალური კონფერენციის გახსნისას განაცხადა.

მისივე თქმით, ბოლო წლების განმავლობაში თვისობრივად ამაღლდა ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტი. როგორც კობახიძემ აღნიშნა, ამ სტანდრატის ამაღლებაში დიდი წვლილი სწორედ იურიდიული დახმარების სამსახურს მიუძღვის.

„სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტია ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა. მე ვამაყობ იმით, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ამ კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს. ბოლო წლების განმავლობაში თვისობრივად ამაღლდა ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტი, რაშიც იურიდიული დახმარების სამსახურს უმნიშვნელოვანესი როლი აქვს“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ. მისივე თქმით, იურიდიული დახმარების სამსახური 10 წელია, შეიქმნა და ამ დროის განმავლობაში საკმაოდ რთული პერიოდის გავლა მოუწია.

„ეს სირთულეები ადამიანის უფლებების დაცვასთან იყო დაკავშირებული. მას შემდეგ, რაც თვისობრივად ამაღლდა საქართველოში სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი, მას შემდეგ, რაც სასამართლო გათავისუფლდა იუსტიციის სამინისტროს და პროკურატურის დიქტატურისგან, გაიზარდა იურიდიული სამსახურის ეფექტიანობა“, — განაცხადა კობახიძემ. მან პარლამენტის სახელით იურიდიული დახმარების სამსახურს მხარდაჭერა აღუთქვა.

„ინსტიტუციურად იურიდიული დახმარების სამსახური დაკავშირებულია პარლამენტთან. ეს სამსახური არის დამოუკიდებელი, თუმცა აკავშირებს ანგარიშვალდებულება პარლამენტთან. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულია საკანონმდებლო ორგანოს პასუხისმგებლობა იურიდული დახმარების სამსახურის მიმართ. ამ სამსახურს ექნება პარლამენტის სრული მხარდაჭერა, მოხდება მისი რესურსების სრული განვითარება და იქნება ადამიანის უფლებების დაცვის სამსახურში“, — განაცხადა კობახიძემ.

იურიდიული სამსახურის ორგანიზებით თბილისში გაიმართა რეგიონული კონფერენცია დამოუკიდებელი იურიდიული დახმარების შესახებ.

როგორც ადრე ფეოდალები ძიძგნიდნენ საქართველოს,

რატომ არის სარისკო პარტიების დაბალი რეიტინგი?

***როდესაც** უმრავლესობამ ვენეციის კომისიის შუალედური დასკვნის გამოქვეყნებამდე მიიღო გადაწყვეტილება, კომპრომისზე წასულიყო ოპოზიციასთან და ერთჯერადად, 2020 წლისთვის დაეშვა ბლოკების შექმნა და საარჩევნო ბარიერის 3%-მდე დაწევა, მაშინვე ითქვა, რომ პროცედურულად ვერ მოხერხდებოდა, უკვე, მეორე მოსმენით დამტკიცებული კონსტიტუციის პროექტში აღნიშნული ცვლილებების შეტანა, რადგან მესამე მოსმენა მხოლოდ რედაქციულ შენიშვნებს ითვალისწინებს.*

მოიძებნა ამ ცვლილებების კონსტიტუციაში შეტანის მექანიზმიც — კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ მომზადდებოდა ახალი კანონპროექტი, რომელშიც აღნიშნული ცვლილებები შევიდოდა. პროცედურულად ეს რომ ასე დაიგეგმა, ყველასთვის ცნობილი იყო, თუმცა პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებამ, რომ პრეზიდენტს ვეტო დაედო ამ ორი პუნქტისთვის, რათა შემდეგ შესაბამისი ცვლილებები შეეტანათ, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, კონსტიტუციამ, რომელმაც ათწლეულები უნდა გადალახოს, ორ საათსაც კი ვერ გაუძლო და მასში ცვლილებები გახდა შესატანი.

თავის მხრივ, პრეზიდენტმა ხელახალი კონსულტაციები დაგეგმა პოლიტიკურ პარტიებთან და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ოპოზიციაცა და პრეზიდენტიც საკონსტიტუციო პროცესის უკან დაბრუნებას ცდილობენ.

ვის რაში აწყობს სიტუაციის გამწვავება, ვინ რას მოიგებს და რას დაკარგავს, ამ თემაზე ექსპერტი რამაზ საყვარელიძე გვესაუბრება.

— საკონსტიტუციო პროცესი მიდის დიდი დაპირისპირებების ფონზე და ასეთ შემთხვევაში შედეგი ყოველთვის არ არის ხოლმე კარგი. პროცესიც არ არის მაინცდამაინც დამაჯერებელი — მათ, ვინც ამ ცვლილებების უკან დგას, არ უნდა დაუშვან ასე ჰაიჰარად, მართლაც ორ საათში საკონსტუტიციო ცვლილება — თუკი ბოლომდე დარწმუნებულები არ არიან იმაში, რომ ეს მუხლები მართლაც შესაცვლელია. თუ თვითონვე თვლიან, რომ შეცვლაა საჭირო, — რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ მუხლების სისწორეში თვითონ ავტორები არ არიან დარწმუნებული, თუკი დასაშვებს გახდიან შესწორებებს თუნდაც, ამ ეტაპზე.

— თვითონ უმრავლესობამ გააკეთა განმარტება, რომ ერთჯერადად ბლოკების დაშვება და ბარიერის დაწევა კონსტიტუციაში ვერ მოხვდებოდა და ამისათვის სპეციალური ცვლილებები გახდებოდა საჭირო. ეს ახსნა მაშინვე, როდესაც თავისი კომპრომისის შესახებ განცხადება გაავრცელა...

— მე ის არ მესმის, რას ნიშნავს, ერჯერადი დაშვება, კონსტიტუცია ფეხსაცმელი ხომ არ არის ერთხელ მოგიჭიროს და მერე გაიწიოს. თუ დარწმუნებულები არიან, რომ კონსტიტუცია სწორად არის აგებული, დღევანდელი პოლიტიკური კონიუქტურის გათვალიწინებით, წესით, არ უნდა იყოს მისაღები, რომ ერჯერადად დაუშვან რაღაც.

ერთჯერადი ნიშნავს იმას, რომ დღევანდელ სიტუაციას უწევ ანგარიშს, თორემ ეს საქმე გასაკეთებელი არ არის.

— პრეზიდენტი თავის სასახლეში იბარებს პოლიტიკურ პარტიებს მოლაპარაკებებისთვის, ვინ მივა და ვინ — არა, ეს სხვა თემაა, მაგრამ კონსულტაციების ხელახლა დაწყებით და ამით, ფაქტობრივად, პროცესის უკან დაბრუნებით რას მივაღწევთ?

— მივაღწევთ იმას, რომ საკონსტიტუციო პროცესის მიმართ ისედაც ნიჰილისტური დამოკიდებულებაა და კიდევ უფრო მეტი ნიჰილიზმი გაჩნდება. არ შეიძლება ასე წინ და უკან ტრიალი, ასეთი არასერიოზული დამოკიდებულების გამომჟღავნება. პოლიტიკოსები, რომლებიც თვითონ უპატივისმცემლოდ იქცევიან ამ პროცესის მიმართ, საზოგადოებას ვერ მოსთხოვენ პატივისცემით მოეკიდონ კონსტიტუციას.

— სხვათა შორის, ერთადერთი, დავით უსუფაშვილი აღმოჩნდა, რომელმაც რეალურად დაინახა რა პრობლემა იქმნება — როგორც მან განაცხადა, კონსტიტუცია თავად არის მსხვერპლი მმართველი გუნდის გაუაზრებელი პოლიტიკის და ამიტომ, კონსტიტუციაზე შეტევა, მის დელეგიტიმაციაზე საუბარი ან მისი გამოცხადება ერთი პარტიის დოკუმენტად, არასწორია. ერთმანეთისგან უნდა განვავასხვავოთ — შეცდომის ჩამდენი პოლიტიკური ძალა და კონსტიტუცია... ნუთუ სხვა პარტიები ვერ ხვდებიან... რაშია პრობლემა?

— ვერ ხვდებიან თუ არ ხვდებიან!.. შესაძლოა, არ უნდათ მიხვედრა და ამიტომ ვიღებთ იმ სურათს, რაც გვაქვს. საერთოდ, პარტიებს ხშირად წინდაუხედავი ნაბიჯები ახასიათებთ და პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან იმ თემებს, რომელიც მათ ეხებათ. რაც ქვეყანას ეხება, იმას რომ არ დაუკვირდნენ, ეს გასაკვირი არ არის.

ინდონეზიის მთავრობა ქვეყანაში ქართული რეფორმების ექსპორტს გეგმავს

ანტიკორუფციული პოლიტიკა; ელექტრონული მმართველობა და გამჭვირვალე სახელმწიფო უწყებები; სმარტფონებითა და ტაბლეტებით ხელმისაწვდომი სერვისები, რომელთა მიღებაც მაღალმთიან და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ ისეთივე კომფორტულია, როგორიც დედაქალაქში; წარმატებული კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა – ეს ქართული რეფორმების არასრული ჩამონათვალია, რომლებითაც ინდონეზია დაინტერესდა. დელეგაცია, რომელსაც ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული რეფორმების მინისტრის მოადგილე ხელმძღვანელობს, გუშინ იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი პატარაიძემ მიიღო.

მინისტრის მოადგილემ სტუმრებს კორუფციასთან ბრძოლის და მისი პრევენციის ქართული მოდელი გააცნო, რომელთა შედეგადაც, არაერთი საერთაშორისო კვლევით, ქვეყანას კორუფციის რისკის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს.

გიორგი პატარაიძემ ისაუბრა ღია და ანგარიშვალდებული მმართველობის სისტემაზე, რომელიც პროცესში მოქალაქეების ჩართულობას გულისხმობს. მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ ანტიკორუფციული და მთავრობის გამჭვირვალობისაკენ მიმართული პოლიტიკა, სერვისების ხელმისაწვდომობასა და ელექტრონულ მმართველობასთან ერთად, გახდა საქართველოს წარმატების ძირითადი ფაქტორი საერთაშორისო ასპარეზზე. სულ ახლახან საქართველო „OGP"-ის თავმჯდომარე გახდა და მომდევნო ერთი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს ორგანიზაციას, რომლის შემადგენლობაშიც 75 ქვეყანაა.

კიდევ ერთი საკითხი, რომლითაც ინდონეზიის დელეგაცია დაინტერესდა, კიბერუსაფრთხოების კუთხით გატარებული რეფორმებია, რომელთა შედეგად, 2017 წლის გლობალური უსაფრთხოების ინდექსში (NCSI) საქართველო მეორე ადგილს იკავებს და უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: გერმანია, ნიდერლანდების სამეფო, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი და დანია.

შეხვედრის ბოლოს, ღონისძიების მონაწილეებმა მემორანდუმის ტექსტი განიხილეს, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ინდონეზიის ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული რეფორმების სამინისტროს შორის გაფორმდება. ინდონეზიის მთავრობა ქვეყანაში ქართული რეფორმების ექსპორტს გეგმავს.

ქართველი მილიარდერი ანზორ კიკალიშვილი ანაკლიაში მიწის სანაცვლოდ 6 მლნ-ს ითხოვს

რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენი, მილიარდერი ანზორ კიკალიშვილი მოქმედი ხელისუფლებისგან ანაკლიაში 20 000 ჰა მიწის ნაკვეთის დაბრუნებას ელოდება, რომელიც წინა მთავრობის პერიოდში სახელმწიფოს სასარგებლოდ დაათმობინეს, – ამის შესახებ „საქმის კურსს" კიკალიშვილის ბიძამ და მინდობილმა პირმა გურამ თირქიამ განუცხადა.

საქმე ისაა, რომ 20 000 ჰა მიწის ფართობი სწორედ იმ ადგილასაა, სადაც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი უნდა აშენდეს.

რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენის ბიძა აცხადებს, რომ როგორც კანონმორჩილმა ადამიანმა საკუთარი სახლ-კარი უკვე დატოვა და კომპენსაციის სახით 400 ათას 700 ლარიც მიიღო, მაგრამ ამ დრომდე ელოდება 20 000 ჰა მიწის ფართობის დაბრუნებას, რომელიც 2010 წელს ძალით დაათმობინეს.

„2003 წელს, როდესაც ვიღაცეები „ჯიპებს" ყიდულობდნენ, მე ვთხოვე ჩემს დისშვილს (ანზორ კიკალიშვილი – რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი) და მიწები ვაყიდინე; საჯარო რეესტრშიც დავარეგისტრირე, ვიფიქრე – ერთ მშვენიერ დღეს ანაკლიის ზღვის პირას რაღაც იქნებამეთქი. 2010 წელს სამეგრელოს ყოფილმა გუბერნატორმა ზაზა გოროზიამ და კიდევ სხვა პირებმა პროკურატურაში დამიბარეს და 1 ჰა-ის ჩუქება მომთხოვეს. ავუხსენი, რომ ეს მათი საკუთრება არ იყო და ვერც მე ვაჩუქებდი, რადგან მინდობილი პირი ვიყავი. შემდეგ მითხრეს, 5-დან 10 წლამდე ციხე გელოდება ან ხელი მოაწერე საბუთებს, რომ მიწა სახელმწიფოს გადაეციო. ასე წამართვეს კეთილსინდისიერად ნაყიდი ქონება. 45 000 ლარი მარტო მიწის გადასახადის სახით მაქვს გადახდილი და ამის დამადასტურებელი საბუთიც მაქვს. თუ ჩემი არ იყო მიწა, მაშინ რატომ მახდევინებდნენ?!" – აცხადებს გურამ თირქია.

კიკალიშვილის ბიძას დღეს უკვე პრეტენზიები მოქმედ ხელისუფლებასთან აქვს და ელოდება, რომ „სამართლიანობა არჩევნებამდე აღდგება".

„არ მეგონა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კუთვნილი მიწების დაბრუნება ასე გამიჭირდებოდა. მთელმა საქართველომ იცის, როგორ წამართვეს. არ მინდა, კიდევ ბევრი რამე ვთქვა, ჯერჯერობით ველოდები; თუ დავრწმუნდები, რომ არაფერი გამოდის, მერე სხვა გზებს ვნახავ. არჩევნებამდე უნდა მორჩეს ეს ამბავი. „ამაზე მუშაობა მიდის და მე მგონი, თქვენ სასაიკეთოდ გადაწყდებაო", – ასე მითხრეს ეკონომიკის სამინისტროში", – აღნიშნავს თირქია.

ქართველი მილიარდერის ბიძამ იცის, რომ „სამართლიანობის აღდგენის" შემთხვევაში 20 000 ჰა მიწის ღირებულება 6 მლნ ლარია, რისი გადახდაც სახელმწიფოს კომპენსაციის სახით მოუწევს.

„სახლ-კარი დავტოვე და ახლა მოპირდაპირე მხარეს კაფეში ვცხოვრობთ. ოჯახში 7 წევრი ვართ. არსად წასვლას არ ვაპირებ. ველოდები. არ მინდა, ვიფიქრო, რომ ხელისუფლება ნაქურდალ-ნაყაჩაღარს აფარებს ხელს", – აცხადებს გურამ თირქია.

ცნობისთვის: ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისა და განვითარების პროექტის განხორციელებისთვის სახელმწიფოს მიერ კერძო მესაკუთრეებისგან გამოსყიდული ქონების სანაცვლოდ გადახდილმა კომპენსაციამ 56 047 307.08 ლარი შეადგინა. როგორც „საქმის კურსს" სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, პირველი ფაზის ფარგლებში დაგეგმილი ქონებების გამოსყიდვა დასრულებულია. მისივე ინფორმაციით, ჯამში, გამოსყიდულია 402 ერთეული ქონება და მათ შორის არის საცხოვრებელი სახლები და მიწის ნაკვეთები.

(http://www.bm.ge/ka/article/qartveli-miliarderi-romelic-anakliashi-miwis-sanacvlod-6-mln-s-itxovs/14254)

ძლიერი პარტიებიც დაახლოებით ისე იქცევიან!

– რჩება განცდა, რომ მთელ ამ პროცესში ხალხი კონტექსტიდან არის ამოვარდნილი, რადგან სადავო თემები ეხება მხოლოდ პოლიტიკური პარტიების ინტერესებს. არადა, სწორედ ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ხალხის და ქვეყნის ბედს. თქვენი შეფასებით, ხალხი მართლა დაავიწყდა ყველას?

– სადავო თემები ეხება საარჩევნო სისტემას და სწორედ ამიტომ დარჩა ის განცდა, რაზეც თქვენ საუბრობთ, რომ ხალხი ამოვარდნილია კონტექსტიდან. ოპოზიციურ პარტიებს საარჩევნო სისტემა რომ გაეტარებინათ და სხვა თემებზე, არაპარტიულ მუხლებზე ემსჯელათ, ასეთი განცდა არ დარჩებოდა და არც იმდენი არაფერი დაშავდებოდა.

პირიქით, საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ კონსტიტუცია გაუარესდა – ბარიერის დაწევით ხომ პარტიებს გამსხვილების სტიმული მოესპობათ?! ვიქნებით ისევ 10-10-კაციანი პარტიების შემხედვარე. დადებითი ნაბიჯები არ იდგმება ამ პროცესში, მე თუ მკითხავთ უარესობისკენ მიდის.

ლაპარაკობენ, პარტიები უნდა გაძლიერდნენო, მაგრამ ესეც საფიქრებელია – რამდენად პოზიტიურია მათი გაძლიერება? მაგალითად, თავის დროზე, ამერიკის პრეზიდენტმა ყველაფერი გააკეთა, რომ პარტიები დაესუსტებინა. სწორედ იმიტომ, რომ პარტიების ინტერესები კი არ ყოფილიყო წამყვანი, არამედ – სახელმწიფოსი და უკვე 200 წელზე მეტია, ამერიკა ფეხზე ისე დგას, რომ ვერავინ შეარყია.

ასე რომ, ეს მოთხოვნა, თუ დემოკრატია გინდა, პარტია უნდა გაძლერდესო, თავისთავად ბლეფია, მოგონილი იმისთვის, რომ მერე ხეირი ნახონ პარტიებმა, მათ შორის – ფინანსური. ამიტომ ვამბობ, რამდენად სასურველი მიმართულებაა აღებული ქვეყნის განვითარებისთვის, ეს არის საკითხავი.

თუ სუსტები არიან და ამ კომპრომისული ნაბიჯებით გავაძლიერებთ, ეს განებივრება იქნება და არა – გაძლიერება. ამით ქვეყანას დავასუსტებთ. როგორც ადრე ფეოდალები ძიძგნიდნენ საქართველოს და ამით ქვეყანას არაფერი მოუგია. ძლიერი ფეოდალების არსებობა მუდამ პრობლემა იყო და დავით აღმაშენებელს მერე ამ ფეოდალების სარზე წამოცმა მოუხდა.

ძლერი პარტიებიც დაახლოებით ისეთი მოვლენა იქნება, როგორიც ძლიერი ფეოდალები. ასე რომ, ეს პრინციპი – „გავაძლიეროთ პარტიები" – ძალიან დამაფიქრებელია იმ ქვეყანაში, რომელშიც პოლიტიკური ცხოვრების კულტურა მხოლოდ 25 წელიწადს ითვლის.

– ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა" კონსტიტუციის კანონდარღვევით მიღებაზე საუბრობს და დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს, აცხადებენ, რომ შევიდა სარედაქციო შესწორება – „მიწის" ნაცვლად ჩაიწერა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა", ანუ მორატორიუმი მხოლოდ მიწის ამ სახეობას შეეხება. როგორც ჩანს, მხოლოდ პრეზიდენტი არ ცდილობს საკონსტიტუციო პროცესის უკან დაბრუნებას. დავუშვათ, ისევ ახალ წრეზე წავიდა ყველაფერი, შედეგი რა იქნება? ვინმე მოგებული დარჩება?

– იქნება ის, რომ საზოგადოებისთვის საერთოდ მიუღებელი გახდება ეს პროცესი. მოგებას რაც შეეხება, ვერავინ ვერაფერს მოიგებს. ყველა პარტია წააგებს. ისედაც დაბალი რეიტინგები აქვთ ოპოზიციურ პარტიებს და ეს ციფრი კიდევ უფრო შემცირდება. მმართველ პარტიას ოპოზიციასთან შედარებით – მაღალი, რეალურად კი დაბალი რეიტინგი აქვს და მისი მაჩვენებლებიც მოიკლებს.

ისედაც, ხალხის ნახევარი არ მივიდა არჩევნებზე და საერთოდ აღარ მივლენ. სერიოზული პრობლემა დაუდგება სახელმწიფოს საზოგადოების მისდამი დამოკიდებულების გამო.

ასე რომ, მოგებული, რისი იმედიც აქვს, გნებავთ, „ნაციონალურ მოძრაობას" და გნებავთ, სხვა პარტიებს – თუ ვიყვირებთ მოგებული დავრჩებითო, პირიქით შემობრუნდება და შეიძლება, საერთოდ დაემხოთ თავზე კონსტიტუციაც და არჩევნებიც.

– ანუ საკონსტიტუციო პროცესის ფინალისთვის საკუთარი ნაბიჯების უფრო სერიოზულად გააზრება მართებთ პარტიებს?

– ალბათ, უფრო მეტად უნდა იფიქრონ იმაზე, რა დამოკიდებულება აქვს ხალხს მათ მიმართ. არავინ არ დაფიქრდა იმ თემაზე, რომ ბოლო არჩევნებზე დასწრება ძალიან დაბალი იყო – რა მოხდა და რა გამომდინარეობდა აქედან, რა უნდა გაეკეთებინათ, რომ იგივე სურათი არ განმეორებულიყო.

ამომრჩევლის განახევრება და სოციოლოგიურ კვლევებში დაფიქსირება, „არც ერთი პარტია არ მომწონსო" ყველას ხომ ერთნაირად ეხება?

ხომ შეიძლება, საერთოდ უარი თქვას ხალხმა ხელისუფლების ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობაზე?! კი, არის ქვეყნები სადაც 30 პროცენტია ამომრჩევლის დასწრება, მაგრამ ისინი დალაგებული ქვეყნებია.

ხომ შეიძლება არჩევნებზე მოვიდეს ის 30%, მერე დანარჩენი 70% ქუჩაში გამოეფინოს და თქვას, ეს ხალხი ჩვენ არ აგვირჩევია და რევოლუცია უნდა მოვახდინოთო?! ამიტომ ვლაპარაკობ, რომ პოლიტიკური კულტურა ძალიან ბევრს ნიშნავს, შესაძლოა, დასავლეთშიც არ მიდიან არჩევნებზე, მაგრამ არც რევოლუციას ახდენენ.

პარტიებს რომ დაბალი რეიტინგი აქვთ, შეიძლება გაუხარდეს მის კონკურენტს, შედარებით მაღალი რეიტინგი ვისაც აქვს, მაგრამ თავისთავად, პოლიტიკური პარტიების მიმართ ეს დამოკიდებულება, რაც დღეს საქართველოშია, საკმაოდ დიდი რისკის შემცველია ისეთი პოლიტიკური კულტურის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

ლალი ზირაძიშვილი

„გაბრაზებული თბილისელი“: მეჩოგბას პრვის დავუთმოგ...

...ნურც ნურვინ შემეცილება! – აცხადებს საქართველოს დამანგრეველ-დამნელებელი, ქართველების გადამგვარებელ-გამაქრობელი ნაციონალური მოძრაობისგან თბილისის მერობის კანდიდატი **ზაალ უდუმაშვილი**.

ივნისის მიწურულს სააკაშვილის „რუსთავი-2“-მა თბილისის აეროპორტში, კიევიდან ჩამოფრენილი „კალმოსანი“ გოგოების წივილ-კივილის ფონზე, მწვანე შარვალში გამოჭედილი, მხარზე ჩანთაჩამოკონწიალებული, სწრაფი ნაბიჯით მომქროლავი უდუმაშვილი აჩვენა. შეკითხვაზე, დათანხმდი თუ არა სააკაშვილისგან შეთავაზებულ თბილისის მერობის კანდიდატობაზეო, ჩვეული რიხით გაეპასუხა, ჯერ არ გადამიწყვეტიაო და გაიქცა.

არადა, აშკარა იყო, რომ ქართველთმოძულე მიშიკას ხელისბიჭი, სავალალო ბრძანება-დავალების შესრულებაზე დათანხმებული ჰყავდა. ამიტომაც, პირველმა ჩამოჰკრა „უშელავათო ბრძოლა-ჭიდილის“ მაუწყებელ ზარს და ნიკა გვარამიას საბრალო მსახურს დასაწყისშივე დასამარცხებლად განწირულ ზალიკოს ამოქმედება აუწყა.

26 ივნისს, მართლაცდა ბედის ირონიით, მართლმადიდებლობის მგმობელი ნაციონალური „ბომონდი“, მეტეხის ეკლესიის ეზოში გამოიფინა თბილისის „მომავალი მერის“ კანდიდატის მხარდასაჭერად და გასამხნევებლად. განსაკუთრებით ყელყელაობდა და ტყავიდან ძვრებოდა პოეტ რეზო ამაშუკელისგან „ულვაშიან ტარაკან პრუსაკად“, ნინო ანანიაშვილზე გათხოვილად“ სახელშერქმეული გრიგოლ ვაშაძე. სწორედ მან წარუდგინა ქვეყნისა და ერის დამაქცევრებს ოქტომბრის არჩევნებში „ნაღდად გამარჯვებული, სტოპრო, ბეზპინწი მინუტ მერი“ ლუჩუნა ზალიკო და „ქართული ესტრადის „მამაშას“, „ტარანტულით“ სახელშემკობილ მარინოჩკა ბერიძეს მიუსკუპდა.

მერე, თავმოყრილების ზურგს უკან მდუმარედ მდგომი, დედაქალაქის „მომავალ მერად დამტკიცებული“ ზაალ უდუმაშვილის ჯერი დადგა. კიევში, ბელადისგან მიჩენილი „იმიჯმეიკერებისგან“ ნამეცადინებ-ნავარჯიშევი, „მრისხანე-მდაბიური“ იერსახიანი მიეახლა ტრიბუნას და „ფოლადშერეული“ ხმით მიესალმა ნაციონალურად აყიჟინებულ მხარდამჭერებს.

სიბრალულის ღიმილის მომგვრელი გამოდგა უკვე მართლა „ნაღდ მერად“ თავწარმოდგენილი „რუსთავიორელი“, მწირი განათლებისა და ინტელექტზე მწყრალად მყოფი ნაცკანდიდატი. იგი ჟურნალისტი არ გახლავთ, საამისოდ საჭირო სულ მცირე „ბაგაჟიც“ კი არ გაჩნია. უბრალოდ, სხვათა მიერ შეკოწიწებულის გამხმოვანებელია და იმ დღეს მონიტორებზე გამოტანილი თანამოსაქმე „კალმოსნებისა“ და ნაციონალი „კიტებისგან“ შეთითხნილი „პროგრამის“ ნაწილის ჩამდუდუნებელმა, „კარენო თბილისელობით“ მოიწონა თავი და ისიც ზედ მიაყოლა – მშობლებიც აქ არიან დასაფლავებულებიო.

მერე, ყველაფერ ამით „აღგზნებულ-აზვირთებული“ მომხრეების შეძახილებითა და ტაშით ძალამიცემულმა, ძუნწად გააცნო მერის სავარძელში „ჩაჯდომისთანავე მოსაგვარებელი საქმეების მონახაზი“ და მათგან ცხრა წლის განმავლობაში გაძარცულ-გაპარტახებული დედაქალაქის „სამოთხისდარად გადაქცევისა“ და თბილისელების „ბედნიერ-უზრუნველად“ მცხოვრებ საზოგადოებად გახდომის ტრადიციული ნაციონალური სიტყვა-პირობის ბუქი დააყენა. ბოლოში გასულმა ჰაერში აბნია სხვა ზღაპრულ-საარაკო დაპირებებიც.

„მე, გაბრაზებული თბილისელების მერი ვიქნები!“ – ამ დევიზით დაემშვიდობა მხარდამჭერებს ზაალ უდუმაშვილი.

მეორე დღესვე „ამხილა“ მოქმედი მერი – ზაჰესში ახალაშენებულ ხიდთან მოვარდნილი ღვარცოფით ჩანგრეული მომცრო ორმო, ხიდის „ჩანგრევად“ შეასაღა მშობლიური ტელევიზიის გადამღებ ჯგუფს და „გამარჯვების მომტანი პირველი მომგებიანი ქულა-აქტივი“ მიითვალა. მალევე, სააკაშვილის იაფფასიან-გაცვეთილ მეთოდს მიმართა და „საჩუქრით“ ესტუმრა ერთ-ერთ ხელმოკლე ოჯახს. იქ ნანახ-მოსმენილით „გაოგნებულ-შეძრულმა“ ტელეკამერის თვალწინ მასპინძლებსა და თბილისელებს, მერის კაბინეტში „შესვლისთანავე“, ადამიანების ამ დღეში ჩამგდები დედაქალაქის სათანადო სამსახურების თავკაცების უმკაცრესად დასჯის პირობა დაუდო.

ასეთივე პირობით „დააშოშმინა“ წავკისში ასულმა ზალიკომ იქაური აღელვებული მხარდამჭერების ჯგუფი.

მამუკა გამყრელიძე, ყოფილი დიპლომატი: „რაც შეეხება ზალიკოს შანსებს კახა კალაძესთან შედარებით, რა თქმა უნდა, ძალიან მცირეა“. („ახალი თაობა“, 2017 წ. №151).

„რუსთავი-2“-ში საქმიანობისას ზაალ უდუმაშვილი თვითკმაყოფილი ახმოვანებდა, მთლიანად იზიარებდა და იწონებდა ნაციონალებისგან ქვეყნის ნგრევა-გაპარტახებას, გაჩანაგებასა და დანელებას, ქართველი რჩეული ბიჭების ფიზიკურად განადგურებას, გულდამშვიდებული ისმენდა და უყურებდა ქუჩებში მათს დახვრეტას; არასდროს არ გაუპროტესტებია გადავსებული ციხესაპყრობილეების, იქ პატიმრების შემზარავ-სადისტურად წამების ფაქტები...

დანაშაულებრივად დუმდა ნაციონალებისგან ქვეყნის ბუნებრივი რესურსების, წიაღისეული სიმდიდრეების, სტრატეგიული ობიექტების გაყიდვა-გაჩუქებაზე. კრინტს არა სძრავდა 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების ავანტიურას წამოგებულ და ორ დღეში კაპიტულაციის გამომცხადებელზე, მისგან საქართველოს უძველესი კუთხეების ოკუპანტებისთვის ჩაბარებაზე, 150 გადაბუგულ-დანაცრულ სოფელზე, ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლზე, სამასი ათას ახალ დევნილზე...

სევდია უგრეხელიძე, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი: „ზაალ უდუმაშვილი ნამდვილად მიიპყრობს ყურადღებას, მისი უპირატესობა არის სუფთა წარსული, ინტელექტუალობა და პიროვნული ქარიზმა. ყველა რთულ გამოწვევას ზომიერებით პასუხობს, ასევე ფლობს ძალიან ბევრ ინფორმაციას. ის იქნება ყველას მერი“. („ახალი თაობა“, 2017 წ. №135).

შეუდარებლად მგზნებარე ნაციონალ ქალბატონ სევდია უგრეხელიძეს, ვითომ ცნობილ მექრთამესა და კორუფციონერ გვარამიასთან შეკრულ-შედუღაბებული უდუმაშვილი მართლაც „სუფთა, კამკამა და არანაირად გაუსვრელი“ ჰგონია? ასე რომ იყოს, მაყურებლისთვის ჯოჯოხეთის მომწყობი გენდირექტორი ზალიკოს მოადგილედ დაიყენებდა? ხომ გაგიგიათ, ერთი გასვრილი ღორისგან სხვების იგივე დღეში ჩაგდების ამბავი?

ასე თუ ისე, მფარველი შეფის დავალების შესრულებამდე – „მერად გახდომამდე“, სხვა ბრძანებების შესრულება მოუწევს ეჭვშეუვალ თბილისელად დამტკიცებულ ზაალ უდუმაშვილს. იცის, უმძიმესი ტვირთის იძულებით წამომკიდებელმა, რომ მხოლოდ სააკაშვილის ცეტური ფაციფუცითა და გამაყრუებელი ბრახაბრუხით ვერ მიაღწევს თბილისის მერის სავარძლამდე, რომ მხოლოდ მიშას და მისი ბანდის წევრების მიწოლით ვერ გავა ფონს, რომ „გაბრაზებული“ თბილისელების „მხსნელად და მშველელად“ თავგამოცხადებულს, სწორედ ისინი შეაქცევენ ზურგს, წინ აღუდგებიან და არაფრით არ დაუშვებენ მოღალატე, გამყიდველი ნაციონალების თანამდგომ-თანამოსაქმის გამარჯვებას.

მართალი ადამიანები უფლის ნებას არ გადავლენ!

გელა ჯიღაური,
2017 წ. სექტემბერი

მინაწერი: 7 სექტემბერს მორიგი „პაჟარობა“ გათამაშდა ზაჰესში, გლდანში და მუხიანში. ცეცხლმა დიდ ტერიტორიაზე გადაწვა ხეები, ბუჩქები, ბალახი. ზარალი საგრძნობი გამოდგა.

ჰოდა, თბილისის „მერობაგანაღდებული“ ზაალ უდუმაშვილი იქ მისვლის ნაცვლად ქუთაისში გაქანდა და მხარდაჭერა გამოუცხადა იქაურობის ხელში ჩაგდების მოსურვილე, თავგადაკლულ „კაგებეშნიკ“ ნაციონალ გრიგოლ ვაშაძეს. იქიდან კი ბათუმში გაიქცა, ფუყე ლევანა ვარშალომიძესთან ერთად, მერობის ნაციონალი კანდიდატის საგულშემატკივროდ.

სხვათა შორის, თბილისში გაჩაღებულ ხანძრებზე არც ხოშტარიას, არც ელისაშვილს და არც ვაშაძეს, ყური არ შეუბერტყავთ. სულაც გადაბუგულა და მთლად დანაცრულა მანდაურობაო, ასე შეუთვალეს იქ მცხოვრებლებს ელიკუნამ, ალიკუნამ და გიორგუნამ! ჩვენ, მერობა და ბევრი ფულის შოვნა გვინდა, აღმა-დაღმა სირბილი და საქმის კეთება კი არაო!

გ. ჯ.

ზუგდიდის საკრებულოს აპარატის უფროსი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს

ზუგდიდის საკრებულოს აპარატის უფროსი გრიგოლ მიქავა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს. მიქავას ჭრილობა მუხლის არეში აქვს მიყენებული. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს და დამნაშავის დასაკავებლად საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

ზუგდიდის საკრებულოს პრესსამსახურის უფროსის თქმით, მიქავას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ის უკვე სახლში იმყოფება. გრიგოლ მიქავა ყურადღების ცენტრში გაზაფხულზეც მოექცა. მაისის თვეში ის ზუგდიდში ორჯერ დააკავეს. არსებული ინფორმაციით, საქმე ეხებოდა ნარკოდანაშაულს.

პირველად მიქავა ღამით, წერეთლის ქუჩაზე გააჩერეს და ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაიყვანეს. გათავისუფლების შემდეგ, მეორე დილით, საპატრულო პოლიციამ მიქავა ხელახლა დააპატიმრა და კვლავ საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაიყვანა.

„ოცნების“ სიის მეათე ნომერს პარტიიდან რიცხავენ

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე 22 დღით ადრე, „ქართული ოცნების“ ჩოხატაურის პროპორციული სიის მეათე ნომერს მაია პაიჭაძეს პარტიიდან რიცხავენ. ინფორმაციას ამის შესახებ „გურია ნიუსი“ საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს. გამოცემის ინფორმაციით, პაიჭაძის პარტიიდან გარიცხვის გადაწყვეტილება ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნინო წილოსანმა და გურიის გუბერნატორმა მერაბ ჭანუყვაძემ დეპუტატობის კანდიდატებთან გამართულ შეხვედრაზე გააჟღერეს. შეხვედრას თავად პაიჭაძე არ დასწრებია. წყაროს ინფორმაციით, შეხვედრაზე მაია პაიჭაძის ღია წერილი განიხილეს, რომელიც მან რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. პაიჭაძე წერილში ჩოხატაურის მერობის კანდიდატს ირაკლი კუჭავას უნიათობასა და კანონდარღვევაში ადანაშაულებდა.

„როგორც პარტიის თავმჯდომარემ, ისეთივე უნიათო სია წარმოადგინე, როგორი გამგებლობაც შეძელი!... მერობის ასეთ კანდიდატს, რომელიც მოცემული პარტიული სიით აპირებს მომდევნო ოთხი წელი მართოს მუნიციპალიტეტი, ნამდვილად არ იმსახურებს ჩოხატაურის საზოგადოება, რომელსაც მაღალი პოლიტიკური კულტურა აქვს და მე ვუთანაგრძნობ იმ პოლიტიკოსებს, რომლებმაც ირაკლი კუჭავას მერობის კანდიდატად დასახელებით მნიშვნელოვნად აზარალეს „ქართული ოცნება“, – წერს პაიჭაძე.



მომხდართან დაკავშირებით „ოცნებაში“ კომენტარი არ გაკეთებულა. „გურია ნიუსის“ ინფორმაციით, მათ სატელეფონო ზარებს ნინო წილოსანმა და მერაბ ჭანუყვაძემ არ უპასუხეს. სატელეფონო ზარები უპასუხოდ დატოვა მაია პაიჭაძემაც.

ქართველი კალმანი შოთა მილორავა

არიან კომპოზიტორები, რომლებიც მუსიკალური მიმართულების მხოლოდ ერთ ჟანრს ირჩევენ და ამით აღწევენ წარმატებას, არიან ისეთებიც, რომლებიც რამდენიმე ჟანრში მოიპოვებენ აღიარებას. შოთა მილორავა სწორედ ამ მეორე მიმართულების კომპოზიტორად გვევლინება. მისი ნაწარმოებები თავიდანვე შეიყვარა და გაითავისა ქართველმა მსმენელმა. კომპოზიტორისთვის რა უნდა იყოს იმაზე უფრო ძვირფასი ჯილდო, ვიდრე ხალხის საერთო სიყვარულია... უდავოდ, შოთა მილორავა სწორედ ასეთ ბედნიერ ხელოვანთა რიცხვს მიეკუთვნება.

შოთა ერმილეს ძე მილორავა დაიბადა 1925 წლის 22 იანვარს ქალაქ თბილისში. მან პირველი მუსიკალური ნათლობა დედის, ნინო შარაშიძისგან მიიღო, რომელსაც შესანიშნავი ხმა ჰქონდა და რამდენიმე წელი მღეროდა ჯერ მეგრელიძის მეჩონგურეთა ანსამბლში, მოგვიანებით კი ფოცხვერაშვილის გუნდში. პატარა შოთა ხშირად დედას თავის ანსამბლში დაჰყავდა, სადაც უამრავ ქართულ ხალხურ სიმღერას ისმენდა. სწორედ იმ დროიდან გაუჩნდა მას მუსიკისადმი დიდი ლტოლვა და ინტერესი. იგი მუსიკალურ სკოლაში შეიყვანეს, სადაც ფორტეპიანოზე დაკვრას სწავლობდა. მუსიკალური შვიდწლედის დამთავრების შემდეგ მას უკვე შეეძლო მცირე მოცულობის მუსიკალური ნაწარმოების აკომპანიატორობა. მიუხედავად ასეთი მყარი მუსიკალური საფუძვლისა, დასაწყისში შოთა სულ სხვა მიმართულებით წავიდა, ჯერ სამშენებლო ტექნიკუმი დაამთავრა, შემდეგ კი სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩააბარა. მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა, რადგან მუსიკისადმი განსაკუთრებულმა სიყვარულმა თავისი გაიტანა. თბილისის არაყიშვილის სახელობის პირველ სამუსიკო სასწავლებელში ფორტეპიანოზე სწავლასთან ერთად იგი პროფესორ შალვა მშველიძესთან საკომპოზიციო მომზადებასაც გადიოდა.

1942 წელს შოთა მილორავა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, პროფესორ ანდრია ბალანჩივაძის კლასში. ენერგიულმა და ნიჭიერმა ახალგაზრდამ იმთავითვე მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, მას პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის სტიპენდია დაენიშნა. ჯერ კიდევ სტუდენტმა თვითმოქმედი ანსამბლებისთვის რამდენიმე საყურადღებო სამხმიანი სიმღერა შექმნა. ბევრი მათგანი, მათ შორის, „გამარჯვების სიმღერა“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსნოვნას“, „ჩონგურული“ მტკიცედ დამკვიდრდა საქართველოს მხატვრული კოლექტივების რეპერტუარში.

ზაფხულობით სოფელში ყოფნისას პატარა შოთა ცდილობდა რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო იქაურ გლეხებთან. დიდი გულისყურით ისმენდა მათ ნაამბობს, ფანდურზე დამღერებულ სიმღერებს. იგი ახალგაზრდობიდანვე კარგად უკრავდა ჩონგურსა და ფანდურზე, რომელსაც ხშირად იყენებდა აკომპანემენტის სახით. ამ ინსტრუმენტებმა მილორავას მუსიკალურ შემოქმედებაში თავისი ღირსეული ადგილი მონახა, ორგანულად შეერწყა მის მიერ შექმნილ სიმღერებს და სულ სხვა ელფერი შესძინა. „შეისწავლა რა კარგად ჩონგურის სპეციფიკა, კომპოზიტორმა ამომწურავად გამოიყენა მისი ტექნიკური შესაძლებლობები, გააფართოვა აკომპანემენტის როლი და ჩონგური აქტიური მონაწილე გახდა სიმღერის განვითარებაში, მხატვრულ-მუსიკალური სახის შექმნაში“ — წერდა პროფესორი გრიგოლ ჩხიკვაძე.

1947 წელს მილორავა, ორკესტრთან ერთად, ყაზბეგის მიხედვით შექმნილ სიმფონიურ პოემა „ელისოთი“ ამთავრებს კონსერვატორიას, რასაც მუსიკალურ საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. უკვე ამ ნაწარმოებში გამოჩნდა ახალგაზრდა კომპოზიტორის ნიჭიერება, ნაწარმოების აღქმის გასაოცარი უნარი. სულ მალე მას საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრად იღებენ.

ორმოცდაათიან წლებში მან შერეული გუნდისთვის დაამუშავა და ააჟღერა ორი ქართული ხალხური სიმღერა: „ციცინათელა“ და „ოროველა“, რომლებიც ამ ჟანრის საინტერესო ნიმუშებად იქცნენ. ამით მილორავამ ღრმად ნაციონალური კომპოზიტორის სახელი დაიმკვიდრა, რომელიც საინტერესოდ და ოსტატურად იყენებს ხალხურ ინტონაციებს, მის მრავალხმიან კილოს. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო კაპელის ჩამოყალიბებაში და მის საშემსრულებლო პროცესში, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა ჯერ კონცერტმაისტერად, შემდეგ კი დირიჟორ-ქორმაისტერად. მან კაპელისთვის დაამუშავა არაერთი ხალხური სიმღერა, რომელთა შორის გამოირჩევა რუმინული სიმღერა „მარინიკე“.

მილორავას ნიჭიერება სიმფონიურ და კამერულ ინსტრუმენტულ ჟანრშიც გამოვლინდა. მათ შორის ყურადღებას იპყრობს: „საზეიმო უვერტიურა“, ჩელოსათვის — „ელეგია“ და „მელოდია“, ვიოლინოსათვის ფორტეპიანოს თანხლებით — „პერპეტუუმ მობილე“ და ფორტეპიანოსათვის — თემა ვარიაციებით, სონატა — „მუსიკალური მომენტი“ და „ორი მინიატიურა“. მას დაწერილი აქვს აგრეთვე მუსიკა დრამატული თეატრის სპექტაკლებისათვის და კინოფილმებისათვის. რუსთაველის თეატრში მან მუსიკალურად გააფორმა სპექტაკლი — „ლერწამი ქარში“, მარჯანიშვილის თეატრში — „წიწამური“, დეკადისათვის ჰამზატოვის პიესა — „მთიელი გოგონა“, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა ქალაქების თეატრების სპექტაკლები.

შოთა მილორავა, გოგი საბაძე, ალექსანდრე შავერზაშვილი და ვაჟა აზარაშვილი.

შოთა აქტიურ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის ოლიმპიადებისა და ფესტივალების მომზადებასა და ჩატარებაში. იგი ამავე დროს საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მთავარი მუსიკალური კონსულტანტია, რაც გარკვეულწილად ეხმარებოდა მას ღონისძიებების მაღალმხატვრულად და წარმატებით ჩატარების საქმეში.

ალბათ, სწორი ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ქართული ესტრადა წარმოუდგენელია შოთა მილორავას ნაწარმოებების გარეშე. მისი ხალხისათვის ახლობელი, მელოდიური და ლამაზი სიმღერები ამშვენებდა საესტრადო სცენას, ჟღერდა რადიოსა და ტელევიზიაში. როგორ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი: „ჯადოქარი“, „გოგომ ლამაზმა“, „შემირიგდი“, „ჩემო კარგო“, „თოლია“, „ჩქარა მოდი“, „აყვავდა ნუში“, „ჩონგური“, „სიმღერა თბილისზე“ და სხვა. საინტერესოა მისი საესტრადო მიმოხილვები — „მოვდივართ, მოგვიხარია“, „დავდივარ, დავეძებ“, „ასეც ხდება“, ორგანყოფილებიანი საესტრადო მუსიკალური კომედია „მოუსვენარი დასვენება“, მუსიკა ფელეტონებისა და სკეტჩებისათვის. ინტერესს იწვევს მისი სარომანსო მუსიკა, საიდანაც ერთ-ერთი, ლირიკული ვოკალური რომანსი — „სიმღერა“, ჩემ მიერ ჩაწერილ გრამფირფიტაშიც აისახა. ის გამოირჩევა თავისი შინაარსით, მელოდიურობით და სამშობლოს განსაკუთრებული სიყვარულით. სამამულო ომში გამარჯვების რწმენით არის შთაგონებული მისი „ძლევის სიმღერა“ შერეული გუნდისთვის. ინტერესს იწვევს კომპოზიტორის ერთნაწილიანი კანტატები: „მეგობრის ხსოვნას“ და „აყვავებული მხარე“.

მილორავას შემოქმედებით კალამს არ გამორჩენია მუსიკალური ნაწარმოები ახალგაზრდების თემაზე. შინაგანი ემოციითა და ეფექტურობით გამოირჩევა ბავშვთა გუნდისთვის შექმნილი მისი „პატარა ფიზკულტურელების სიმღერა“ და „გამარჯვების მაისი“.

უნდა აღინიშნოს, რომ 1957 წელს თბილისში გამართული საქართველოს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ფესტივალი შოთა მილორავას „საფესტივალო“ სიმღერით გაიხსნა.

კომპოზიტორის მოღვაწეობის განსაკუთრებული ყურადღების სფეროს ოპერეტა წარმოადგენს. ეს უფრო იმითაა დასაფასებელი, რომ ამ ჟანრს ქართველი კომპოზიტორები სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. ვთქვათ პირდაპირ, შოთა მილორავა შეიძლება ჩაითვალოს ქართული ნაციონალური საოპერეტო ხელოვნების ფუძემდებლად. მას მეგობრები და კოლეგები ტყუილად არ ეძახდნენ ქართველ კალმანს (უნგრელი კომპოზიტორი — იმრე კალმანი, მსოფლიოში აღიარებული ოპერეტების შემქმნელი). იგი 26 ოპერეტის ავტორია. მათგან უმრავლესობა წლების განმავლობაში იდგმებოდა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე.

შოთა მილორავას ოპერეტები გამოირჩევა ერთიანი სასიმღერო სტილით, რომანტიკულად ამაღლებული ჟღერადობით, მუსიკალური ენის თანადროულობით. მათში გამოყენებულია თანამედროვე ყოფითი სასიმღერო ინტონაციები და საცეკვაო რიტმები, მდიდარია მკაფიოდ გამოხატული ხალხური პერსონაჟებით. ასეთებად შეიძლება დავასახელოთ: „სამი უფროსის მსახური“, „უცნაური სტუმრები“, „მხოლოდ შენ ერთს“, „ჭირვეული ქმრის მორჯულება“, „საყვარელი დისშვილი“, „მათი ოცნება“, „სასიძოები“, „ერთხელ, გაზაფხულზე“, „სიმღერა თბილისზე“ და სხვა. მარტო ოპერეტა „სიმღერა თბილისზე“ 200-ჯერ დაიდგა მუსკომედიის თეატრში.

კომპოზიტორს გარდა მუსიკალური ნიჭიერებისა, ადამიანური თვისებებიც ალამაზებდა. შოთას პიროვნებაში შეინიშნებოდა კეთილშობილება, გულისხმიერება, ტაქტი, ადამიანური სითბო და ნატიფი ზრდილობა. მის მიერ დატოვებულ ჩანაწერებში ამოიკითხავთ იუმორით გაჯერებულ საინტერესო ფრაზებს: „მე შეიძლება ბევრი სიახლით ვიყო გართული, მაგრამ არ მინდა, არც ერთი ტაქტი არაქართული“, „მაშინ ღმერთი გლოცავს, ყველას სძინავს როცა“, „რადგან ბევრი ვსვი და ცოტა ვწერე, მეც დროზე ადრე ჩამოვეწერე“, „ჩემი რიგიც მოვიდოდა დიდი ხანია, მაგრამ მიქელგაბრიელს არა სცალია“, „რომ არ ჩატყდეს მეგობრობის ხიდი ძმათა შორის, ლექსი დროზე დამიწერე, საყვარელო მორის“, — ეს ფრაზა ბრწყინვალე პოეტს მორის ფოცხიშვილს ეძღვნება.

მასზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სიყვარულში დაილია. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის დროს, სრულიად ჯანმრთელს, გულის შეტევა დაემართა. სამწუხაროდ, ერთი წლის შემდეგ, 65 წლის ასაკში გარდაიცვალა.

შოთა მილორავამ ქართველ საზოგადოებას მდიდარი მუსიკალური მემკვიდრეობა დაუტოვა, რომელსაც არასოდეს გახუნება არ ემუქრება.

გელა ძოძიაშვილი,
რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

უკრაინული ტურისტული საგენტოს მენეჯერები აჭარაში

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით რეგიონს უკრაინული ტურისტული სააგენტოების მენეჯერები სტუმრობენ. ინფოტურის მონაწილეები რეგიონის ტურისტულ და სასტუმრო იფრასტრუქტურას, ტურისტულ პროდუქტებსა და ღირსშესანიშნაობებს ეცნობიან.

ინფოტურის მონაწილეებს რეგიონის გაცნობის მიზნით უკვე ჩაუტარდათ პრეზენტაცია აჭარის საინვესტიციო და ტურისტული გარემოს შესახებ. იქვე გაიმართა ორმხრივი შეხვედრები ადგილობრივი ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან, სადაც ერთობლივი ტურპაკეტების შემუშავების საკითხები განიხილეს. უკრაინელი სტუმრები რეგიონში ოთხი დღე დაჰყოფენ.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი უკრაინაში რეგიონს გარე რეკლამებით, რეიტინგულ მედიაში სარეკლამო სტატიებით, რეპორტაჟებითა და გამოფენებში მონაწილეობით უწევს პოპულარიზაციას. წელს რეგიონი კიევის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი. 18-20 ოქტომბერს კი დეპარტამენტი ლვოვის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მიიღებს მონაწილეობას.

ვინ იყვნენ პირველი ქართველი დასავლეთევროპელები?

ჯუანშერ ვათაძე



ნიკოლოზ ირბახი

რომიბერას დაბადებამდე (1629წ.) თითქმის წლინახევრით ადრე მადრიდიდან რომში ჩავიდა ნიკიფორე ირბახი. ძნელად დასადგენია არსებობდა თუ არა ქართველ ელჩსა და ცოლ-ქმარ დელა ვალეს შორის მანამდე ნაცნობობა ან რაიმე ურთიერთდამაკავშირებელი, მაგრამ ფაქტია, რომ ნიკიფორეს რომში ჩასვლისთანავე მჭიდრო, თითქმის ნათესაობრივი კავშირ-ურთიერთობა დაუმყარდა პიეტროსა და თინათინთან. დასაშვებია, რომ ნიკიფორე კარგად იცნობდა თინათინის მშობლებს, ასევე, შესაძლოა, პიეტროსაც – იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ყმაწვილკაცობისას ნიკიფორე რომის ბერძნულ სკოლაში სწავლობდა, საფუძველს მოკლებული არ არის.

ასეა თუ ისე, ნიკიფორე ირბახის აქტიური თანამშრომლობა პიეტრო დელა ვალესთან ზედმიწევნით ნაყოფიერი აღმოჩნდა, რასაც უდავოდ შეუწყო ხელი ამ უკანასკნელის დახმარებით ქართველი ელჩის საცხოვრებლად განთავსებამ კვირინალეზე, პაპის რეზიდენციასთან ახლოს მდებარე სან-სილვესტროს მონასტერში, რომელიც ასევე ახლოს იყო განლაგებული დელა ვალეს საგვარეულო სასახლესთან („პალაცო დელა ვალესთან“). ეს გარემოება მომგებიანი აღმოჩნდა იმ თვალსაზრისითაც, რომ ნიკიფორე ირბახი, აქტიურ დიპლომატიურ საქმიანობასთან ერთად, საღამოობით ესწრებოდა ამ სასახლეში გამართულ საზეიმო შეხვედრებს რომის ბრწყინვალე საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. მათ შორის იყვნენ სასულიერო მოღვაწეებიც კარდინალების ჩათვლით: ერთ-ერთ მათგანთან, სახელდობრ, პაპის ძმისშვილთან კარდინალ ფრანჩესკო ბარბერინისთან ქართველ ელჩს კეთილგანწყობილი ურთიერთობა დაუმყარდა, რაც მათ შორის შემდეგი პერიოდის მიმოწერით დადასტურდა. დელა ვალეს „პალაცოში“ მეტად შინაარსიანი მუსიკალური და თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა, რომელთა სულისჩამდგმელები იყვნენ პიეტრო და მისი მომხიბლავი მეუღლე მარიამ-თინათინი, რომელიც იმ დროისათვის ადგილობრივი საზოგადოების თვალში დიდგვაროვანი ოჯახის ღირსეულ დიასახლისად და ცნობილ რომაელ მეტრესად აღიქმებოდა.

რაც შეეხება თვით პიეტრო დელა ვალეს პიროვნებას, მისი როლი და დამსახურება არამხოლოდ იტალიის, არამედ ზოგადად ევროპის წინაშე, ფასდაუდებელია, პირველყოვლისა ვითარცა მოგზაურისა, რომელმაც მრავალტომეულის სახით დაწვრილებით და მეცნიერებისათვის ღრმაშინაარსიანად აღწერა თავისი მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში (ეს აღწერილობა იტალიურ და რამდენიმე დასავლეთევროპულ ენებზე გამოქვეყნდა). პიეტროს მრავალტომეული გამოკვლევებისადმი გამჟღავნებული ინტერესი გამოწვეული იყო უპირატესად იმით, რომ მსგავსი პროფილის ნაწარმოებათა შორის ის პირველი იყო, სადაც ავტორი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ყოველ ქვეყანაში მის მიერ აღქმულ და განცდილ მოვლენებს მათი წარსულისა და თანადროულობის მენიერული განსჯა-შეფასებით განიხილავდა, გარკვეული აქცენტით პოლიტიკურად აქტუალურ პრობლემებზე. მაგალითად, სპარსეთში ყოფნისას პიეტრომ მეცნიერულად მეტად საფუძვლიანად აღწერა ამ ქვეყნის წარსული მისი უძველესი დედაქალაქის პერსეპოლისის ჩათვლით, მაგრამ იმავდროულად, კრიტიკულად აღიქვა შაჰ აბას I-ის მმართველობა, კერძოდ, მის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება ქრისტიანული საქართველოს მიმართ. პიეტრომ გულწრფელად წარმოაჩინა პირადი დამოკიდებულებაც ერთმორწმუნე ქართველი ხალხის მიერ განცდილი უბედურებისადმი და სათანადოდ შეაფასა იგი. ერთ-ერთ ეპიზოდში ავტორმა მოკლედ აღწერა მისი მეუღლის სიტი მაანის შემთხვევითი ნაცნობობა სპარსეთის დედაქალაქში მყოფ რამდენიმე დიდგვაროვან ქართველთან, რომლებიც ცხენებზე ამხედრებულნი ცხელ ზაფხულში ისპაჰანის შემოგარენში გადაადგილდებოდნენ. რომეტსახელი იყო „პილიგრიმო“). მისთვის დამახასიათებელი მიდრეკილება აღმოჩენებისადმი პიეტროს „დღიურშიც“ აირეკლა, მაგალითად, ერთ-ერთ ჩანაწერში აღნიშნული იყო: **„ორშაბათი, 24 ნოემბერი (1631წ.). მინახულა მამა ქრისტეფორე შეინერმა, იეზუიტმა, რომელმაც მაჩვენა თუ როგორ არის შესაძლებელი ნახატების განსახიერება პარალელოგრამის მსგავსი მის მიერ გამოგონილი ინსტრუმენტის მეშვეობით. მან მასწავლა როგორ უნდა გამოვიყენო ეს ინსტრუმენტი, რაც ძალიან მარტივი აღმოჩნდა... მე განვასახიერე წმინდა ნინოს გამოსახულება... ჩემს შემდეგ ამაზე მუშაობდა აგრეთვე სინიორა მარიამი (თინათინი – ჯ.ვ.), რომელიც ასევე მარტივად დაეუფლა ამ ხელოვნებას“**.

ადვილად წარმოსადგენია, რომ პროგრესისადმი ასეთი ინტერესით გამსჭვალულ ადამიანთან ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა არაერთი მაშინდელი როგორც სასულიერო, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწე ცნობილი რომაელი. პიეტრო დელა ვალესადმი კეთილგანწყობილი იყო რონენ. ეს უკანასკნელნი შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ დასწრებოდნენ, კერძოდ, ცხარე პაექრობას ტომაზო კამპანელასა და ცნობილ რეაქციონერ სასულიერო მოღვაწე ნიკოლო რიკარდის (იგივე „მოსტროს“) შორის. თითქმის ყველა ამ ღონისძიებას დელა ვალეს „პალაცოში“ ესწრებოდა ქართველი ელჩი, რომელიც პიეტროსა და თინათინის მეშვეობით გათვითცნობიერებული იყო რომში იმხანად არსებულ ვითარებაში. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მუსიკალურ-დრამატურგიული ნაწარმოები, რომელიც „პალაცოში“ დაიდგა, იყო პოეტურ-პროზაული შინაარსის პიესა სათაურით „ისევ აყვავებული ველი“ (დელა ვალე „ველს“ ნიშნავს). ეს წარმოდგენა, რომელიც მუსიკალურადაც პიეტროს მიერ იყო გაფორმებული, მიეძღვნა რომიბერას დაბადებას 1629 წლის ბოლოს.

ამ დროისათვის ნიკიფორე ირბახი უკვე საქართველოში იმყოფებოდა, მაგრამ მისი თითქმის ერთწლიანი მოღვაწეობა იტალიის დედაქალაქში ზედმიწევნით ნაყოფიერი აღმოჩნდა. ეს აისახა დესაც ისინი პიეტროს მდიდრულად მორთულ ე.წ. პალანკინთან შეჩერდნენ, სადაც სიტი მაანი იმყოფებოდა, ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილე ქართველმა გოგონამ მაანის მკერდზე ჩამოკიდებული ჯვარი შენიშნა და ამით აღფრთოვანებულმა ყველას გასაგონად ხმამაღლა შესძახა: „ქართველია!, ქართველია!“. ამ შემთხვევის აღწერას პიეტრომ ის დასკვნა დაურთო, რომ ქართველთა ცნობიერებაში ცნებები „ქრისტიანი“ და „ქართველი“ გაიგივებულია, რაც ამ ხალხის რწმენისადმი თავდადებულ ერთგულებაზე მეტყველებდა.



მაანი და პიეტრო დელა ვალე

პიეტრო დელა ვალეს მრავალტომეული ნაშრომის შინაარსმა თვალნათლივ წარმოაჩინა ავტორის ყმაწვილკაცობიდან მომდინარე ინტერესი როგორც აღმოსავლეთმცოდნეობისადმი და ზოგადად ისტორიისადმი, ასევე ლიტერატურის, ფილოსოფიის, თეოლოგიისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგისადმი, განსაკუთრებით მუსიკისა და თეატრისადმი, რასაც მოგვიანებით პოლიტიკისადმი მიდრეკილებაც დაერთო. ამ მრავალმხრივმა შემეცნებითმა ინტერესმა და ბევრ შემთხვევაში მისმა ხელშესახებმა პრაქტიკულმა შედეგიანობამ განაპირობა პიეტროს არჩევა რომის ორი ცნობილი აკადემიის – „დელიი უმორისტის“ და „დეი ლინჩეის“ წევრად. ამ უკანასკნელის წევრი გახლდათ ცნობილი ფლორენციელი მეცნიერი გალილეო გალილეი, რომელიც, მიუხედავად სასულიერო დაწესებულებათა მკაცრი დევნისა, სააკადემიო წრეებში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. წარმოშობით ფლორენციელი იყო აგრეთვე პიეტროს მეგობარი, ცნობილი მუსიკოსი და კომპოზიტორი ჯამბატისტა დონი, რომელიც მასთან შემოქმედებითი თანამშრომლობით იყო დაკავშირებული (მისი რჩევა-დარიგებით პიეტრომ ახალი მუსიკალური ინსტრუმენტი გამოიგონა!).

აკადემია „დელიი უმორისტის“ წევრებმა, რომლებიც მოხიბლული იყვნენ თავისი კოლეგის ლტოლვით ყოველივე სიახლისადმი, პიეტროს მეტსახელად „ფანტასტიკო“ შეარქვეს (მეორე მისი მის პაპი ურბან VIII და მისი ორი ძმისშვილი – კარდინალები, განსაკუთრებით ზემოთ მითითებული ფრანჩესკო ბარბერინი. პიეტროსთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ვატიკანის კონგრეგაციათა წამყვან წევრებს, აგრეთვე ისეთ ცნობილ ფილოსოფოს-უტოპისტს, როგორიც იყო ტომაზო კამპანელა, რომელიც ცდილობდა დაეცვა გალილეო გალილეი სასულიერო ინკვიზიციის შეტევისაგან და სხვ. ინტერესის აღმძვრელია ის გარემოება, რომ პიეტრო დელა ვალესა და მისი მეუღლის მარიუჩა – თინათინის მიმართ კეთილმეგობრულად განწყობილ ცნობილ საგვარეულოთა წარმომადგენლების თავშესაყარ ადგილად ითვლებოდა რომის ცენტრში განლაგებული „პალაცო დელა ვალე“. აქ ხშირად იმართებოდა როგორც მუსიკალური და თეატრალური წარმოდგენები, ისე ცხარე დისპუტებიც, რომლებშიც დამსწრენი აქტიურად მონაწილეობდქართველი ელჩის არამხოლოდ მჭიდრო ურთიერთობაზე ვატიკანის მესვეურებთან, სხვადასხვა კონგრეგაციების ხელმძღვანელების ჩათვლით, არამედ ქართული პოლიტიკური პრობლემატიკის დადებით განხილვაზეც, მიუხედავად მისი პალიატიური ხასიათისა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ დრო საქართველოსთვის დახმარების აღმოსაჩენად ხელიდან იყო გაშვებული. სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისა აღმოჩნდა პიეტრო დელა ვალეს თაოსნობით კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდეს“ მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ესარგებლათ ქართველი ელჩის რომში ყოფნით და მისი მონაწილეობით განეხორციელებინათ პირველნაბეჭდი ქართული ტექსტების გამოქვეყნება. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთში დიდი ხნით დაყოვნების გამო ნიკიფორე ირბახი სამშობლოში გადაუდებლად გამგზავრებას ეშურებოდა, იგი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №198



პიეტრო დელა ვალეს ნაშრომი

აქტიურად ჩაება ქართულენოვანი შინაარსის შემცველ ნაშრომთა გამოსაცემად გამიზნულ საქმიანობაში: შეადგინა ქართული ანბანი ლოცვებითურთ და სიტყვანი ქართულ-იტალიური ლექსიკონისა, ამასთან ერთად მან ქართულად თარგმნა ე.წ. „ლიტანია ლაურეტანა“, ანუ ქალაქ ლორეტოში არსებული ღვთისმშობლის რელიკვიისადმი მიძღვნილი ლიტანიის შინაარსი. სამივე ეს პირველნაბეჭდი ქართული ტექსტი გამოსაცემად მომზადდა 1628წ. მეორე ნახევარში, ხოლო მათი გამოქვეყნება განხორციელდა რომის ცენტრში, სალიტა დელ გრილოს ქუჩაზე (№17) მდებარე კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში 1629 წელს, როდესაც ნიკიფორე ირბახი უკვე საქართველოში იმყოფებოდა, სადაც პირველნაბეჭდი ქართული გამოცემები ერთი წლის შემდეგ თეატინელმა მისიონერებმა ჩაიტანეს.



კრისტოფორო დე კასტელი. ავტოპორტრეტი

როგორც ვატიკანსა და რომის სამეცნიერო დაწესებულებებში გამოვლენილმა დოკუმენტურმა მასალამ დაადასტურა, პირველნაბეჭდი ქართული გამოცემების განხორციელება პიეტრო დელა ვალეს უცილობელ დამსახურებას წარმოადგენდა. ამავე ფაქტობრივი ხასიათის მასალამ ისიც დაადასტურა, რომ XVII ს. 30-იან წლებში პიეტრო დელა ვალეს თაოსნობით საქართველოში (ჯერ გორში, შემდეგ სამეგრელოში) თეატინელ კათოლიკე მისიონერთა წარმომადგენლობა დაფუძნდა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში.

ბაზრობა ეკლესიასთან (სამეგრელო კასტელის ნახატებში, ილორის ტაძარი)

საკმარისია გავიხსენოთ საქართველოში პიეტრო ავიტაბილეს, კრისტოფორო კასტელის, ფრანჩესკო-მარია მაჯოს, ჯუზეპე ჯუდიჩეს და სხვების მოღვაწეობის შედეგები, კერძოდ, კრ. კასტელის ალბომი და ცნობები საქართველოს შესახებ, ფ.-მ. მაჯოს „ქართული გრამატიკა“ (გამოქვეყნდა რომში 1643წ.) და სხვ. სწორედ თეატინელ მისიონერთა მეშვეობით გახდა შესაძლებელი პიეტროსა და თინათინის მიმოწერა თეიმურაზ I-თან და მის მეუღლე დედოფალ ხორეშანთან, ისევე როგორც იმდროინდელ სხვა ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან (ამ მიმოწერის ნიმუშები გამოქვეყნებულია ჩვენი ნაშრომების მეორე ტომში). პიეტრო დელა ვალეს საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ ზედმიწევნით კეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე უდავოდ მოწმობს ის ფაქტიც, რომ მან თავისი „პალაცოს“ წინ მდებარე მოედანზე (პიაცა ვიდონიზე) განლაგებულ მის კუთვნილ შენობაში დააარსა სასწავლებელი ქართველი ყმაწვილებისათვის, რომლებიც განათლების მისაღებად მისი დახმარებით რომში უნდა ჩამოსულიყვნენ და იმავე შენობაში განთავსებულიყვნენ. სასწავლებელმა ცოტა ხანს იარსება, რადგან პიეტროს ამ ინიციატივამ რომის პაპის გარემოცვა შთააგონა ამ წამოწყებისათვის უფრო ფართო გასაქანი მიეცათ და ვატიკანისადმი დაქვემდებარებულ ასეთი პროფილის დაწესებულებაში ყმაწვილები სხვადასხვა ქვეყნიდან მიეზიდათ. ახალდაფუძნებულ დაწესებულებას „კოლეგიო ურბანო“ ეწოდა (იგი დღესაც მოქმედია). საქართველოს მაშინვე უფლება მიენიჭა ამ დაწესებულებაში სასწავლებლად ყოველწლიურად ორი ყმაწვილი გაეგზავნა, რაც წლების მანძილზე ხორციელდებოდა. ამით ვამთავრებთ თხრობას პირველ ორ ქართველ დასავლეთევროპელზე – ნიკიფორე ირბახზე და თინათინ-მარიამ დი ციბა-დელა ვალეზე, რომლებსაც, ჩვენი აზრით, სრულიად კანონზომიერად უნდა მივაკუთნოთ აგრეთვე პიეტრო დელა ვალე როგორც ქართველი ხალხის სიძე და ჭეშმარიტად დახვეწილი დასავლეთევროპელი. მან საქართველოს მისი ისტორიის მეტად რთულ პერიოდში გულწრფელი ერთგულება დაუდასტურა და განსაკუთრებული ღვაწლით დიდი პატივი მიაგო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„კავკასიური ცარცის წრე“

საქართველოს კულტურის მინისტრმა სომხეთი საკადრის ადგილზე მოსვა

„უკვე მერამდენე წელია, რომ სომხეთი დაჟინებით ცდილობს ურთიერთობა გაიფუჭოს იმ ერთადერთ მეზობელთან, რომლის მეშვეობითაც ერევანი ჯერ კიდევ უკავშირდება სახმელეთო გზით თავის მფარველ მოსკოვს. საკითხი ეხება სომხური ეკლესიის პრეტენზიებს საქართველოში მდებარე ძველი ტაძრების მიმართ“, – აღნიშნულია აზერბაიჯანულ გამოცემა „Каспій“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს ეხება..

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს ამ მასალის ქართულენოვან რეზიუმეს:

„მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სომხეთის ტერიტორია ყოფილი ქართული და აზერბაიჯანული მიწებისაგან შედგება, რატომღაც სომხებს მიაჩნიათ, რომ მათ მეზობლების მიმართ პრეტენზიების წაყენების უფლება აქვთ. რას ვიზამთ, ასეთია ამ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ხასიათი. ამას წინათ ჩვენმა მოუსვენარმა მეზობელმა არასასიამოვნო თემის საბაბი იპოვა – ერევანში ვიზიტით ჩავიდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე. წესით, სომხებს მეზობლისთვის პატივი უნდა ეცათ და მეგობრულად უნდა დახვედროდნენ, მაგრამ ვიღაცეები „ეშმაკმა არ მოასვენა“: სომეხმა ჟურნალისტებმა ყურადღება „სადაო ეკლესიების“ საკითხზე გაამახვილეს. ქართველი მინისტრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „მიმწოლ“ ჟურნალისტებს საკადრისი პასუხი გასცა: „ჯერ ერთი, რომ „სადაო ეკლესიების“ საკითხი კულტურის სამინისტროს კომპეტენციაში არ შედის, მეორე - ეკლესიების საკითხი კულტურის მინისტრების დონეზე არასოდეს განხილულა, მესამე - ჩვენი მოვალეობაა დავიცვათ ყველა ძეგლი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს... საერთოდ, საკითხისადმი ემოციური მიდგომა დაუშვებელია. თავიანთი სიტყვა ექსპერტებმა უნდა თქვან“.

მკითხველს შევახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინათ სომხეთის სამოციქულო ეკლესიამ და მისმა ქართულმა ეპარქიამ დაიწყო პრეტენზიები **„სომხური ტაძრების“ დაბრუნების მიზნით (ერთი – ახალციხეში, ხუთი – თბილისში). ამის საპასუხოდ ქართულმა მხარემ მოითხოვა იმ ეკლესიების გადაცემა, რომლებიც ქალკედონურია და სომხეთის ტერიტორიაზე მდებარეობენ (ჰუჯაბის, კობაირის, ენევანქის, კირანცის, ახტალისა და სხვა ეკლესიები). სხვათა შორის, მათზე ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართული წარწერები. გასაკვირი არაა, რომ სომხებმა იმავწუთს დაიწყეს მტკიცება – „დიდი ამბავი, თუ მათ ქალკედონური წარსული აქვთ... მთავარია, რომ ისინი სომხურია, სომხებმა ააშენეს და სომხებს ემსახურებოდნენ. რა მნიშვნელობა აქვს, ის სომხები მართლმადიდებლები იყვნენ თუ არაო“.**

მოკლედ, სიტუაცია დღესაც ჩიხშია შესული.

ქართველ მინისტრს ამგვარი კითხვები მხოლოდ ჟურნალისტებმა კი არა, სომხეთის კათოლიკოსმა გარეგინ II-მაც დაუსვა. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, შეხვედრის დროს მას საყვედური უთქვამს – საქართველოში არსებული სომხური ტაძრები მოუვლელია და უყურადღებოდაა მიტოვებული. რა პასუხი გასცა მიხეილ გიორგაძემ გარეგინ მეორეს, ამაზე სომხური მასმედია დუმს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველმა მინისტრმა ისეთი რამ თქვა, რაც სომხური ეკლესიის წინამძღოლს ნამდვილად არ მოეწონებოდა.

ვფიქრობთ, ყველას ესმის, რომ საქართველო, მეზობლის პროვოცირების მიზნით, ამგვარ მოთხოვნებს თვითონ არ წამოაყენებდა. ქართული დიასპორა სომხეთში მცირერიცხოვანია, 150-მდე ადამიანს ითვლის, თანაც ქართველები სულ სხვა ხალხია, ისინი მათხოვრობას არ არიან მიჩვეულნი და მეზობლებს პრეტენზიებს არ უყენებენ. მაგრამ ამ შემთხვევაში თბილისი იძულებული გახდა „კეთილი მეგობრისათვის“ ფაქტები გაეხსენებინა. როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, იმის გათვალისწინებით, რომ სომხეთმა გასული საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანულ მიწებთან ერთად, ქართული მიწებიც მიიერთა, თბილისს ყოველთვის ექნება ერევნის მიმართ პასუხის გაცემის შესაძლებლობა. ჰოდა, უმჯობესია სომხეთი წყნარად იყოს და ზედმეტ პრეტენზიებს თავი დაანებოს“, – აღნიშნულია სტატიის დასასრულს.

რაუფ ორუჯევი,
„Каспій“

„ცენტრ პოინტი“ გაიყიდა

„ცენტრ პოინტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, გუკა რჩეულიშვილის განცხადებით, „ცენტრ პოინტი“ გაიყიდა. რჩეულიშვილი მყიდველის ვინაობას არ ასახელებს, თუმცა აღნიშნავს, რომ უკვე დაწყებულია კომპანიის გადაბარების ტექნიკური პროცესი.



„ჩვენ გავყიდეთ კომპანია, უბრალოდ მყიდველის კონფიდენციალურობას დავიცავ და ძალიან მოკლე პერიოდში მყიდველზე ინფორმაციას გაიგებს საზოგადოება. ჩვენი კომპანიის გაყიდვის მთავარი პირობა იყო დაზარალებულების დაკმაყოფილება და აქედან გამომდინარე მაიასა და რუსიკოსთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმება. როგორ მოხდება ეს ყველაფერი ტექნიკურად და როგორ დალაგდება ვნახავთ. ასეთი დიდი გარიგება მემგონი საქართველოში, ამ სფეროში არ მომხდარა. სამუშაო მოცულობითია და რამდენ ხანში მოხდება ეს ყველაფერი, ვერ გეტყვით... მყიდველი გადაიბარებს ყველა დაზარალებულის დაკმაყოფილების ვალდებულებას და ჩვენ ვაპირებთ დავიცვათ დაზარალებულების ინტერესების დაცვა მყიდველთან“, – განუცხადა რჩეულიშვილმა ჟურნალისტებს.

კალამს ჯერაც აჭაბუკებს...

გივი ჯახუა — 85

85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და ჟურნალისტი გივი ნოეს ძე ჯახუა. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო გივი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ქართული მწერლობის რუსთავური გუნდის ერთ-ერთ კოლორიტულ წარმომადგენელს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 85-ე წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1953 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „სოციალისტურ რუსთავში" გამოქვეყნდა თქვენი პირველი მხატვრული ნარკვევი. მას შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევით. თქვენი მოთხრობები, ნოველები, პუბლიცისტური სტატიები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენ მიერ განვლილმა ხანგრძლივმა შემოქმედებითმა და საზოგადოებრივმა საქმიანობამ, შინაარსიანმა, ძველქართული პატიოსნებით სავსე ცხოვრებამ ყველა კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვარწმუნა იმ უბრალო ადამიანურ ჭეშმარიტებაში, რომ დიდი საერო საქმეები შეიძლება ჩუმად, უხმაუროდ აკეთო და ქვეყანა არ აიკლო საკუთარ სიქველეთა აფიშირებით.

თქვენი პროზაული კრებულები („ნათია", „ოდოია", „ხალიბთა მემკვიდრენი", „გრძელი ღამე", „ცხენი თუ მოგიპარავს", „ჟამი მსხვრევისა", „ჩემი სევდიანი მურუცხეფი", „სიყვარულსა მალვა უნდა", „ზღაპრის ბიჭი"... თავანკარა ქართულით, თხრობის სიდინჯით, დიალოგების ბუნებრიობითა და წერის კულტურით რომ გამოირჩევა, თქვენი მწერლური ნიჭიერების ერთი მშვენიერი დასტურია. თქვენს ნააზრევში ქართველ რაინდთა სული ბინადრობს, რომლებსაც საქართველოს ერთგულება, მოყვასის სიყვარული ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი. თქვენც საოცრად ჰგავხართ ზღაპრის ბიჭს, თქვენი ერთ-ერთი მშვენიერი მოთხრობის პერსონაჟს, რომელსაც თავისთვის არაფერი ემეტება და სიკეთეს უანგაროდ გასცემს ყველაზე...

მშვენიერი პუბლიცისტი ბრძანდებით და თითოეული პწკარი თქვენი პუბლიცისტიკისა ივერთა მიწის პრობლემებითაა გაჯერებული.

მთელი თქვენი საზოგადოებრივი საქმიანობა რუსთავთანაა დაკავშირებული, რომლის წინსვლასა და აღმავლობას არაერთი ათწლეული შეალიეთ. მუშაობდით გაზეთ „მეტალურგის" რედაქტორად, ქვემო ქართლში საქართველოს ტელერადიო-მაუწყებლობის მთავარ კორესპონდენტად, რუსთავის დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარედ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" საკუთარ კორესპონდენტად, მწერალთა ასოციაცია რუსთაველის" თავმჯდომარედ, გაზეთ „სამშვილდეს" მთავარ რედაქტორად, გაზეთ „ლიტერატურული ქვემო ქართლის" მთავარ რედაქტორად. თქვენი რედაქტორობით გამომავალი ალმანახი „ვარ რუსთაველი" გვხიბლავს პროფესიონალიზმითა და დახვეწილი გემოვნებით.

მონიჭებული გაქვთ დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხის, მწერალთა კავშირის პრემიები. არჩეული ხართ ფაზისის ეროვნული აკადემიის წევრად, რუსთავის საპატიო მოქალაქედ.

ძვირფასო გივი!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი სანუკვარი მიზნების განხორციელებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი,

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია

ნოველა

სურათის სევდა

სურათი პირდაპირ თაკარა მზეს მიფიცხებოდა.

მზე დასავლეთის ცას შეყვითლებოდა, თან ძალზე აცხუნებდა, რაც ნახატს დიდად ვერ არგებდა. ქუჩაში მრავლად მოსიარულეთა მტვერიც ედებოდა.

იქვე, ბაზალტის ბორდიურზე თალხად ჩაცმული ქალი იჯდა. მარცხენა ხელით რომელიღაც იაფფასიანი ჟურნალი ეჭირა და იჩრდილავდა. მისი ჩამუქებული, მაგრამ მეტყველი თვალები სადღაც შორს იმზირებოდა.

რა თქმა უნდა, ეს ამბავი ეგრეთ წოდებულ მშრალ ხიდზე ხდებოდა, სადაც თითო-ოროლა სურათის გარდა, მთელ გაყოლებაზე საოჯახო ნივთები, საყოფაცხოვრებო საგნები, ანტიკვარიატი უხვად გამოეფინა უთავბოლოდ არეულ, დუხჭირ დღევანდელობას.

გამვლელები უფრო ხშირად ქალის პორტრეტის წინ ჩერდებოდნენ, ზოგი წამიერად, სხვანი მეტხანს შეყოვნდებოდნენ. მეც, ერთი მათგანი გახლდით. ქალიშვილის პორტრეტი ყველას რომ ხიბლავდა, მართლაც უჩვეულოდ ლამაზი იყო.

ისიც უნდა ითქვას, სურათიდან ზომაზე მეტად გამოკრთოდნენ გუდიაშვილისეული შტრიხ-ხაზები, რაც მისი მოწაფის ხელოვნებაზე თუ მიგვანიშნებდა. შეიძლება ვივარაუდოთ, ახალგაზრდა შეგირდმა იმ დროს შექმნა ეს ნამუშევარი, როცა ჯერ კიდევ ვერ გასცილებოდა დიდი მაესტროს ჩეროს.

მხოლოდ სახის ის ნაწილი, ანუ ყურები, რასაც დიდი ხელოვანი საგულდაგულოდ ჩქმალავდა, აქ თვალსაჩინოდ იყო გამონაკვთული. პორტრეტზე მარჯვენა ყური კოკრიდან ახლად გაფურჩქნილი მაისის ვარდივით ბრწყინავდა, ბიბილოზე ოქროში ჩასმული გიშრის მოკრძალებული საყურე კიაფობდა. ეტყობა, ავტორი საკუთარ ბილიკს ეძებდა.

ახლა ძნელი სათქმელია, ქალიშვილი მართლაც ასეთი ლამაზი იყო, თუ მხატვარმა შეჰმატა თავისთვის სასურველი ელვარე ნაკვთები. თუმცა, ისიც ცხადია, შემოქმედი ბუნებისათვის მხატვარს გადაემეტებინოს.

სურათს ბედმა შემთხვევით გადამყარა. ჩემი ძმა, რომელიც იქვე, მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან ერთ მიმყუდროებულ ქუჩაზე ცხოვრობს, ავარიაში მოყვა და მისი ნახვა ხშირად მიხდებოდა. ჰოდა, სანამ ხიდს გადავივლიდი, სურათთან სულ უფრო მეტ ხანს ვყოვნდებოდი. მიკვირდა, ასეთ ქმნილებას აქამდე მყიდველი რატომ ვერ გამოუჩნდა.

– დავიჯერო, ერთი ვინმე მაინც არ გამოჩნდა, რომ ეს საოცარი ნახატი შეეძინა – ოდნავ აწეული ხმით იმ ახმახი, ჯმუხი აგებულების კაცის გასაგონად ჩავილაპარაკე, რომელიც ერთთავად იმ ქალის გვერდით იდგა და რომელიც ასევე საოჯახო ნივთებს, ოქროს თუ მოოქროვილ დანა-ჩანგლებს, ჩინურ ჯამ-ჭურჭელს იმეტებდა ჩალის ფასად. ეტყობა, მასაც უპატრონოდ მიგდებული ქვეყნის დღევანდელობამ უბიძგა ქუჩაში გამოსვლა, ყოფილი ინტელიგენტი სიამაყეს ღირსებასთან ერთად შავ სათვალეებში რომ მალავდა.

– არც გაიყიდება, – რაღაცნაირი, ბუხულა ხმით გამომესაუბრა, მერე ამემგზავრასავით, ეტყობა მთელი დღე უბრად ყოფნა მობეზრებოდა. მყიდველი, განსაკუთრებით უცხოელი, მრავლად მოდის, მაგრამ ქალი მათ არც კი დაელაპარაკება.

– იცით, ეს სურათი ამ ქალისაა, – ერთბაშად გამეხსნა ინტელიგენტი, – ჩემი ახლობელია. ახალგაზრდობისას ერთი მხატვარი გაიცნო, ალბათ, სადღაც დღეგბაზე ან იქნებ... დაწვრილებით არ ვიცი. ოღონდ ეგ იყო, მხატვარმა ქალისაგან უჩუმრად შექმნა ეს ტილო, შეიძლება მთელი წელი ხატავდა, შთამბეჭდავია ხომ? ჰოდა, ერთხელაც, მოულოდნელად მოუტანა და აჩუქა. ქალსაც ვაჟი გულში ჩავარდნოდა. ეგონა, ამ სიურპრიზს სხვაც მოჰყვებოდა. ელოდა, ელოდა, მაგრამ... ხომ იცით, ზოგიერთი ხელოვანი როგორია? ის კი ხატავდა თავისთვის და სულ ეგ იყო. თუმცა, ამაზე უკეთესი ვერაფერი შექმნა. კიდევაც მარტოსული წავიდა ამქვეყნიდან.

– ქალი?!

– კი, ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა, მაგრამ ბედისა მოგეხსენებათ. ბოლოს, ხელისუფლებამ ასაკი დაუწუნა, სხვათა შორის, მეც. ჰოდა, იმანაც თავისი სავსე ოჯახი გაძარცვა. თუ რამ გააჩნდა, გაყიდა ლუკმაპურისთვის. ეს ბოლო ნივთია. ჰო, ახლა უკვე ნივთია. არადა, მთელი სიცოცხლე...

უცებ მოვტრიალდი, რომ იტყვიან „უპარდონოდ" მივატოვე კაცი, რომელიც უკვე პროფესორად მოვნათლე, სურათისა და ქალის წინ ავისვეტე, ჩემი ჩრდილი იფარავდა ორივეს. მტკვარს ადევნებული ნელი სიო უნანავებდა ქალს. მის სახეს დავაკვირდი, მერე სურათს, წლებს ძალიან ბევრი რამ წაეღო, ზომაზე მეტიც, ლამის ერთიანად გაუძარცვავს სილამაზისგან და მაინც ამოვიკითხე სამშობლოდან გადახვეწილი კოლხი მედეას, შემდგომ თამარის, იმ დიდებულ ქალთა კრებულის, საუკუნიდან საუკუნეში რომ ალამაზებდა ჩემს ქვეყანას, აი, იმ დედათა სახე სუფევდა ორთავეში. აი, თურმე რატომ ვერ გაიმეტა სურათი საუცხოეთოდ. გულდამძიმებული მოვშორდი იქაურობას.

ჰო, მაგრამ სჭირდება კი ვინმეს შენი მშობლიური სევდა?!

გივი ჯახუა

ნაციონალური ბიზნესრეიტინგების კავშირის ჯილდო დავით ნარმანიას

თბილისში **უპრეცედენტოდ დიდი მასშტაბის სპორტული ღონისძიებების უმაღლეს დონეზე ორგანიზებისთვის თბილისის მერს დავით ნარმანიას სპეციალური ჯილდო გადაეცა. დედაქალაქის მერს ჯილდო მოვლენათა და სპორტული ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციაზე ნაციონალური ბიზნესრეიტინგების კავშირის პრეზიდენტმა ვალერი გიჟიცკიმ გადასცა.**

სპორტული ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია გუშინ სასტუმრო „ჰუალინგ თბილისში" , მერიის მხარდაჭერითა და საქართველოს კორპორატიული სპორტის ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა. დავით ნარმანიამ კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და განაცხადა, რომ საქართველოში სპორტული ტურიზმის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია და თბილისის მერია მომავალშიც აქტიურად დაუჭერს მხარს სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას.

„კონფერენციაში, რომელზეც აქცენტი სპორტულ ტურიზმზე კეთდება, თბილისის მერიის ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია. დედაქალაქის მერია, სპორტის სამინისტროსთან ერთად, ძალიან ბევრ რეგიონულ და ევროპული მნიშვნელობის ღონისძიებებს უჭერს მხარს, რათა სპორტული ტურიზმით დაინტერესებული ადამიანები ჩვენს ქალაქში ჩამოვიდნენ. მათი შემოსვლა პირდაპირ დაკავშირებულია ტურიზმის განვითარებასთან, მეტ შემოსავალთან და მეტი ადამიანის დასაქმებასთან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში სპორტული ცხოვრების პოპულარიზაცია" — განაცხადა დავით ნარმანიამ.

„ალტერნატივა გერმანიისთვის“

მზერა საქართველოდან

პარტია „ალტენატივა გერმანიისთვის“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ადგილობრივი არჩევების სენსაციად იქცა. გაერთიანებამ, რომელსაც მემარჯვენე-პოპულისტურს და ექსტრემისტულსაც კი უწოდებენ, ხმათა 12,6% მიიღო და მესამე ადგილზე გავიდა. ეს შედეგი პარტიას პოლიტიკის ფორმირების შესაძლებლობას არ აძლევს, თუმცა მას პოლიტიკურ ფაქტორად აქცევს არა მარტო გერმანიისთვის, არამედ ყველასთვის, ვისაც მოსკოვის გავლენა აშფოთებს.

პარტიის წარმატებამ შეიძლება, საფრთხე შეუქმნას ევროპაში „ალტერნატიული“ აზრის გაძლიერებას მოსკოვის პოლიტიკაზე. მემარჯვენე – პოპულისტები, რომლებიც ხმამაღლა აკრიტიკებენ ევროკავშირსა და აშშ-ს, გამოდიან არანაკლებ ხმამაღალი მოწოდებებით რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობისკენ. წინასაარჩევნო დემონსტრაციებზე მოძრაობის აქტივისტებს რუსეთის დროშები ეკავათ, აქა-იქ კი თვითგამოცხადებული დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკების დროშებიც მოსჩანდა. ეს ყველაფერი უეცრად აღმოცენებულმა ანონიმმა სპონსორმა დააფინანსა. გერმანიაში ეჭვობენ, რომ ეს სპონსორი სწორედ კრემლია. თავად მოსკოვში არ მალავენ, რომ პარტიის წარმატება ახარებთ. და მიუხედავად იმისა, რომ მიღებული ხმები მემარჯვენე-პოპულისტებს რუსეთის მიმართ სანქციების მოხსნის ან მოსკოვის მიმართ ევროკავშირის ერთიან პოლიტიკაზე ხელშესახები გავლენის მოხდენის შესაძლებლობას არ აძლევს, არაერთი დამკვირვებლის აზრით, მოსკოვმა ევროპის ერთ-ერთ წამყვან ქვეყანაში საკუთარი „ხმა“ მიიღო.

და ეს შესაძლოა, საფრთხის შემცველი იყოს უპირველესად უკრაინისა და საქართველოსთვის, ვინაიდან „ალტერნატივამ“ შეიძლება, თავისუფლად გაიღოს მსხვერპლად ორივე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებისთვის.

„ალტერნატივამ გერმანიისთვის“ ამ პარტიისთვის არნახულ შედეგს მიაღწია, რომელიც ამავდროულად გერმანიის ულტრამემარჯვენეების დიდი წარმატებაა. ევროპის სხვა ქვეყებში მსგავს პარტიებს არაერთხელ მოუგროვებიათ ხმათა საკმარისი რაოდენობა და გასულან პარლამენტში, ხოლო მათი წარმომადგენლები უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზეც კი მოხვედრილან, მაგალითად, ავსტრიაში. რაც შეეხება მოსკოვიდან დაფინანსებას, ჩვენ მშვენივრად ვიცით და ეს საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ ეს პარტია სიმპათიითაა განწყობილი პუტინის მიმართ და ამას ორი მიზეზი აქვს: პუტინი პარტიის წევრთა თვალში ლიბერალიზმის მტერია და ეს შეხედულება რეალობას ასახავს; მეორე მომენტი კი მარტივია – პუტინი ფულს იძლევა. იქონიებს თუ არა არჩევნების ეს **შედეგი გავლენას საქართველო-გერმანიის ურთიერთობებსა და ზოგადად გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე? არა მგონია. პარტიას „ალტერნატივა გერმანიისთვის“ მართლაც არ შეუძლია არაფრის შეცვლა, თუმცა ეს იქნება მუდმივი პრესინგი ფედერალური მთავრობისთვის“,** – თვლის პოლიტოლოგი გელა ვასაძე.

ამასთანავე, იგი არ გამორიცხავს, რომ სოხუმის წარმომადგენლებმა ამ გერმანულ პარტიასთან პირადი კონტაქტების (ნაცნობობა, დონბასის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის არჩევნების დროს შედგა, რომელსაც გერმანული პარტიის წარმომადგენლები დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდნენ ისევე, როგორც აფხაზები) გამოყენება სცადონ, რათა ევროპულ ტრიბუნაზე მაინც მოიპოვონ რაიმე გასასვლელი. თუმცა, ვასაძის აზრით, რეალურ საფრთხეს ეს არ შექმნის: **„ამას წინათ ჯულიეტო კიეზამ (ევროპარლამენტის პრორუსმა იტალიელმა დეპუტატმა, ჟურნალისტმა და სეპარატისტების ლობისტმა) სცადა ევროპარლამენტში ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის გამოსვლის ორგანიზება მოეხდინა. და რით დასრულდა ეს ყველაფერი? – ევროპარლამენტარების უმრავლესობის მხრიდან დაცინვით. მეტსაც გეტყვით, მსგავსი კონტაქტები მართლაც წარმოადგენს გარკვეულ პოლიტიკურ არხს, თუმცა, მეორე მხრივ, რაც მეტი კავშირი აქვ მათ „ალტერნატივასთან გერმანიისთვის“ (მხედველობაში მყავს კოლაბორაციონალისტური ხელისუფლების წარმომადგენლები), მით მეტია მათ მიმართ გაღიზიანება გერმანიის, ასე ვთქვათ სისტემური პოლიტიკური ძალებისგან, მათ შორის – მმართველი კოალიციის მხრიდან“.**

პოლიტოლოგის აზრით, საქართველოსა და უკრაინისთვის საფრთხეს არა იმდენად „ალტერნატივა გერმანიისთვის“, არამედ სხვა პარტიის – „თავისუფალი დემოკრატების“ წარმატება ქმნის. რომელიც ლიდერი ასევე გამოდიოდა ყირიმის ანექსიის შემდგარ ფაქტად აღიარებისკენ მოწოდებებით და თან გერმანული საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის პოსტზე ერთ-ერთი კანდიდატია.

„ბევრად უფრო საინტერესოა „თავისუფალი დემოკრატების“, ანუ ლიბერალების წარმატება, რომელთაც მთავრობაში შესვლის რეალური შანსი აქვთ. მათ ლიდერს არაერთხელ განუცხადებია, რომ ყირიმი უკვე რუსულია და საჭიროა მისი აღიარება. ბატონი ლინდნერი ყირიმშიც იყო ჩასული. ეს ადამიანი საგარეო საქმეთა მინისტრობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. ამდენად, როდესაც გერმანიის პოლიტიკაზე და გარკვეულ რისკებზე ვსაუბრობთ, აქ საქმე „ალტერნატივა გერმანიისთვის“ კი არა, იმაშია, რომ „თავისუფალი დემოკრატები“, როგორც ჩანს, სამთავრობო კოალიციაში მიიღებენ მონაწილეობას. ჩემი აზრით, ეს ბევრად მეტ ყურადღებას იმსახურებს“.

თუმცა ვასაძე არ გამორიცხავს, რომ სწორედ მსგავსი, ღიად პრორუსული გამონათქვამები კრისტიან ლინდნერს მინისტრის სავარძლის დაკავებაში შეუშლის ხელს, ვინაიდან ანგელა მერკელი ხელისუფლებაში ბალანსის შენარჩუნებასა და ამა თუ იმ მხარეს გადახრის არდაშვებას შეეცდება. ნებისმიერ შემთხვევაში, პოლიტოლოგის აზრით, თბილისს ჯერ კიდევ რჩება დრო, ბერლინს საკუთარი თავი შეახსენოს, ვინაიდან კოალიციური მთავრობის ფორმირება საკმაოდ გრძელვადიანი პროცესია და ამ ქვეყანაში პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის მიმდინარე ვიზიტი მისი აზრით, ამისათვის კარგი შესაძლებლობაა.

„ეხო კავკაზა“

ლეონიდ კრავჩუკი: სააკაშვილს ხელი პოროშენკომ შეუწყო

საძართველოს ექსპრეზიდენტსა და უკრაინის ოდესის ოლქის ყოფილ გუბერნატორთან დაკავშირებული ამბები პოლიტოლოგებსა და ექსპერტებს მოსვენებას არ აძლევს. მიხეილ სააკაშვილის მოქმედება სატელევიზიო თოქ-შოუების მთავარი თემაა, განსაკუთრებით რუსეთში, სადაც ქართული სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის შესახებ, რუს ექსპერტ-პოლიტოლოგებთან ერთად, უკრაინელებიც საუბრობენ. რუსულ თოქ-შოუებში საინტერესო მომენტი შეინიშნება: ორივე მხარის პოლიტოლოგები მიხეილ სააკაშვილზე საუბრისას მაყურებელს კიდეც აცინებენ და ართობენ.

და მაინც, მართლაც ვინ გაუკვალა გზა მიხეილ სააკაშვილს უკრაინაში ტრიუმფალურად დასაბრუნებლად? ვერსიები ძალიან ბევრია, მათ შორის დაუჯერებელიც. ასეთი ვერსიები მიშიკოს ისტორიულ სამშობლოში – საქართველოშიც გაისმის. ჩვენ უკვე ვწერდით იმის თაობაზე, რომ საქართველოს ექსსპიკერმა ნინო ბურჯანაძემ რუსულ მასმედიას განუცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი ამერიკული „ცეერუს“ პროექტია. თუმცა ეს კიდევ არაფერი – მან რუსეთი გააფრთხილა, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი იმ მიზნითაა გამოგზავნილი, რომ 2018 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი ჩაშალოს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთს მისი ჩატარების უფლება წაართვას.

თვითონ მიხეილ სააკაშვილი მხოლოდ „მშვიდობა-ძმობა-სოლიდარობაზე“ ლაპარაკობს, არაფერზე პრეტენზია არა აქვს, იგი პეტრო პოროშენკოსაც პატივს სცემს და მისი დამხობა გულშიც არ გაუვლია. იგი, როგორც უკრაინის ჭეშმარიტი მოქალაქე, მხოლოდ ქვეყნის კეთილდღეობის, სამართლიანობისა და კორუფციის წინააღმდეგ იბრძვის.

დასაჯერებელია ექსპრეზიდენტ – ექსგუბერნატორის „ფიცი-მტკიცი“?

ჩვენი აზრით, ამ კითხვაზე ყველაზე კარგად პასუხობს უკრაინის პირველი პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი, რომელიც მასმედიაში იშვიათად ჩანს ხოლმე. იგი უაპელაციოდ აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილს ყველაფერში ხელი შეუწყო და პირობები შეუქმნა პირადად პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ, საღი აზრისა და პოლიტიკური ლოგიკის მიუხედავად. ლეონიდ კრავჩუკისთვის სრულიად წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება მოიწონოს ქვეყნის პრეზიდენტმა სახელმწიფოს მმართველ თანამდებობებზე უცხოელების დანიშვნა... მართლაცდა, ძნელია, არ დაეთანხმო ლეონიდ კრავჩუკს: გავიხსენოთ, რომ კიევში მიწვეული თითქმის ყველა „უცხოელი სპეციალისტი“ ან თვითონ წავიდა თანამდებობიდან, ან მას წასვლაში „დაეხმარნენ“. არა, უკრაინის პირველი პრეზიდენტი ზოგადად უცხოელი პროფესიონალების ქვეყანაში მოწვევის წინააღმდეგ არ გამოდის, მაგრამ როცა მათ მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობაზე ნიშნავენ, ეს უკვე ყოველგვარ გონივრულ ზღვარს სცილდება.

ლეონიდ კრავჩუკის აზრით, უცხოელი სპეციალისტების თანამდებობებზე დანიშვნის ფანტასტიკური იდეის ყველაზე „ნათელ გმირად“ მიხეილ სააკაშვილი წარმოჩინდა: **„მას გზა გმირობისათვის თვითონ პეტრო პოროშენკომ გაუკვალა. სწორედ მიხეილ სააკაშვილს მისცა პრეზიდენტმა ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებში მუშაობის შესაძლებლობა, კანონმდებლობისა და მორალურ-ზნეობრივი ნორმების დარღვევით. რატომ ატყუებს ხალხს ხელისუფლება? რატომ იძლევა უსაფუძვლო დაპირებებს? უკრაინელებს არ სურთ მიხეილ სააკაშვილის გვერდით ბრძოლა, მაგრამ მათ არც იმის მოთმენა აღარ შეუძლიათ, თუ როგორ აბუჩად იგდებს მთავრობა ქვეყნის კანონებს... თუ როგორ ახორციელებს შერჩევით სამართალს, საკუთარი სიმპათიით თუ ანტიპათიით. დასკვნა: კანონი უმაღლეს დონეზე ირღვევა, არანაირი ევროპული სტანდარტები უკრაინაში არ არსებობს“,** – განაცხადა ლეონიდ კრავჩუკმა. მიხეილ სააკაშვილის მოქმედება ოპოზიციასაც კარგად აწყობს: **ისინი ექსგუბერნატორს საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებენ. ისინი მიხეილ სააკაშვილის გვერდით სწორედ პირადი მიზნების გამო არიან და არა მისადმი სიყვარულის ნიშნად. ოპოზიციონერებს მშვენივრად ესმით, რომ ექსგუბერნატორი ჯერ კიდევ ენერგიულია და მასთან ყოფნა მათივე მერკანტილურ მიზნებს ემსახურება. მაგრამ ხომ დადგება მომენტი, როცა მიხეილ სააკაშვილი „გადაიწვება“ და „უკვე გამოყენებულ“ მასალად დარჩება. შეიძლება მას ხელისუფლება იმიტომაც ითმენს, რომ მომენტის დადგომას ელოდება – მოვა დრო და მიშიკოს ენერგია გამოელევა.**

ლეონიდ კრავჩუკი თვლის, რომ მიხეილ სააკაშვილის შეჩერება საწყის ეტაპზე შეიძლებოდა: **„რა თქმა უნდა, მე ყველაფერს პეტრო პოროშენკოს ვერ დავაბრალებ. ალბათ, მას უნდოდა, რომ საქმე კარგად გამოსულიყო, მაგრამ პირიქით გამოვიდა. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი აწყობილი არ არის, რაც პრეზიდენტისა და მთელი ქვეყნის პრობლემაა. საქმეს ეხება ჩვენს პატივს და ღირსებას. სირცხვილია, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. სირცხვილია, უყურო იმ შოუს, რაც მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ ხდება“.**

ლეონიდ კრავჩუკის სიტყვები ფაქტიურად უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომაც დაადასტურა, რომელმაც კომენტარი გაუკეთა ყველაზე საჭირბოროტო საკითხს: დაპატიმრება თუ ექსტრადიცია? როგორც აღმოჩნდა, არც ერთი და არც მეორე, მხოლოდ ჯარიმა საზღვრის უკანონოდ გადასვლის გამო. რაც შეეხება კონკრეტულად ექსტრადირების საკითხს, გენერალური პროკურორის ვერდიქტი ასეთია: **„მიხეილ სააკაშვილის სტატუსი საქართველოში მის ექსტრადირებას არ ითვალისწინებსო“.**

აი, ასეთი სურათი ყალიბდება საქართველოს გაქცეული ექსპრეზიდენტის ირგვლივ, რომელიც, უპასპორტობისა და მოქალაქეობის არქონის მიუხედავად, თავს მაინც მშვენივრად გრძნობს და მომხრეებსაც ხშირად ხვდება, თავის მიზნებზე ესაუბრება. ახლა უკრაინაში, ლეონიდ კრავჩუკის აზრით, აღარ დგას საკითხი – **„რა ვუქნათ მიხეილ სააკაშვილს“, დღეს სხვა კითხვა ისმება – „რა იქნება შემდეგ?“. ჯერჯერობით ამ კითხვაზე პასუხი, ალბათ, თვითონ მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ იცის, ხელისუფლება კი სიტუაციიდან გამოსავალს გამალებით ეძებს.**

წყარო: „Каспій»(აზერბაიჯანი)
იბეჭდება მცირე შემოკლებით

◎ ძლიერთა თამაშები

პრინცის პატრონაჟით

კანადაში მიმდინარე საერთაშორისო პარალიმპიურ თამაშებში დაჭრილმა ქართველმა სამხედროებმა მჯდომარე ფრენბურთში ოქროს მედლები მოიპოვეს. დაძაბულ ფინალურ შეხვედრაში ჩვენი ნაკრები გაერთიანებული სამეფოს გუნდს დაუპირისპირდა და გაიმარჯვა. Invictus Games-**ში თავგამოჩენილ სამხედროებს ოქროს მედლები დიდი ბრიტანეთის პრინცმა ჰარიმ პირადად გადასცა.**

თანამემამულეებს თავდაცვის მინისტრი ლიტვიდან გულშემატკივრობდა. ლევან იზორიამ წარმატება ქართველ სამხედროებს მატჩის დასრულებისთანავე ვილნიუსიდან მიულოცა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბრძოლო მოქმედების დროს და სამშვიდობო მისიებში დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტებული გუნდი ძლიერთა თამაშებში (Invictus Games) მჯდომარე ფრენბურთის გარდა სპორტის კიდევ 5 სახეობაში ასპარეზობს: ველორბოლა, ცურვა, წოლჭიმი, მშვილდოსნობა, ავტორბოლა. ქართველი სამხედრო მოსამსახურეები გაერთიანებული სამეფოს პრინცის, მისი აღმატებულება პრინც ჰარის პატრონაჟით გამართულ ძლიერთა თამაშებში მესამედ მონაწილეობენ. პირველად ქართველმა სამხედროებმა ლონდონში გამართულ Invictus Games-ში იასპარეზეს, შემდეგ კი, აშშ-ში, ქალაქ ორლანდოში.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

თინეიჯერთან დამარცხდა

საქართველოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ჩენდუს ტურნირის 1/8-ფინალში 19 წლის ამერიკელ ტეილორ ფრიტცთან 3:6, 6:3, 1:6 დამარცხდა. შეხვედრა საათსა და 28 წუთს გაგრძელდა.

პირველ სეტში ნიკამ მეტოქის სწრაფ თამაშს ალღო ვერ აუღო და ამიტომაც წააგო. მეორე პარტიაში 3:2-ზე ნიკას სასარგებლოდ ბასილაშვილმა ბრეიკი შეასრულა, სეტებში ანგარიში გაათანაბრა და გაჩნდა იმედი, რომ ქართველი ჩოგბურთელი შეხვედრის მოგებას მოახერხებდა, თუმცა, ბოლო პარტიაში განადგურდა.

ფრიტცს 12 ეისი ჰქონდა და 8-დან ოთხი ბრეიკი შეასრულა, ხოლო ნიკამ 3 ეისი ჩააწოდა და 5-დან ორი ბეიკი გამოიყენა.

ბასილაშვილმა ჩენდუს ტურნირის მერვედფინალში გასვლით 20 სარეიტინგო ქულა და 17. 570 დოლარი გამოიმუშავა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კანდიდატი

შიო ხეცურიანი მსაჯებს შეხვდა

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი შიო ხეცურიანი განაგრძობს შეხვედრებს თავისი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში.

მორიგი დიალოგი სამსაჯო კორპუსის წარმომადგენლებთან შედგა.

ისაუბრეს ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე და განიხილეს მათი მოგვარების ძირითადი გზები.

ხეცურიანმა მსაჯებს კალათბურთის განვითარების 10-წლიანი სტრატეგია გააცნო. პროცესში მთავარი აქცენტი მსაჯობის მიმართულებაზე, ამ კონტინგენტში აუცილებელი პროგრესირების თემებზე გაკეთდა.

გეჟან დოლიძე

◎ მოვლენის წინ



სახელის გატეხას...

დიდი ბრიტანეთის საელჩო თბილისში 6 ოქტომბერს ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე საქართველო-უელსის შესარჩევ მატჩზე დასწრების მსურველ საკუთარ მოქალაქეებს რეკომენდაციებს აძლევს და დეტალურად განუმარტავს, რა უნდა გაითვალისწინონ საქართველოში მოგზაურობისას პასპორტთან, ვიზებთან და ტრანსპორტირების საკითხთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაში.

შეზღუდვები:

საელჩოს ცნობით, სტადიონზე დაუშვებელია პიროტექნიკის, ფოიერვერკის, კვამლის ყუმბარების, ცეცხლსასროლი იარაღის, დანის, საყვირების, მეგაფონების, ალკოჰოლის, თუნუქის, მინის, პლასტმასის ბოთლებისა და კონტეინერების, ხურდების, სანთებლების შეტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში უსაფრთხოების სამსახური მათ კონფისკაციას განახორციელებს. ასევე დაუშვებელია ქოლგებისა და ჩაფხუტების შეტანა და ტერიტორიაზე არ არის ბარგის შესანახი სათავსოები მოწყობილი.

საელჩო ასევე აფრთხილებს შშმ პირებს, რომ ქალაქის ქუჩებში ეტლით გადაადგილებისთვის სათანადოდ არ არის მოწყობილი ინფრასტრუქტურა (ტროტუარები).

პირადი და გზების უსაფრთხოება:

საელჩოს ცნობით, კრიმინალის დონე თბილისში დაბალია, თუმცა, პერიოდულად ადგილი აქვს ძარცვას ხალხმრავალ ადგილებში, საღამოს საათებში. საელჩო მოუწოდებს მოქალაქეებს ქუჩაში გადაადგილებისას თან არ იქონიონ დიდი თანხა. ასევე, ვრცელდება გაფრთხილება ტაქსის მძღოლთა მხრიდან სექსუალური ძალადობის შესახებ ინციდენტებთან დაკავშირებით ისევე, როგორც ურჩევს, გამოიჩინონ ყურადღება გზის გადაკვეთისას, რადგან შუქნიშანზე წითელი ფერი და ზებრა გადასასვლელი არ ნიშნავს, რომ მძღოლი მოძრაობას შეაჩერებს. ავარიები საკმაოდ ხშირი მოვლენაა, რაც ძირითადად მოძრაობის წესების დარღვევით არის განპირობებული. ქალაქში არ არის საზოგადოებრივი ტუალეტები – ვკითხულობთ საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს მიერ ბრიტანელი მოქალაქეებისთვის გავრცელებულ რეკომენდაციებში.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

ფეხბურთის სამშობლოს სახელით

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდში გამართულმა მეორე ტურის შეხვედრებმა პრემიერლიგის წარმომადგენელთა დომინაციის ფონზე ჩაიარა – 5 ინგლისური კლუბიდან ოთხმა სტუმრად ითამაშა და მათგან მხოლოდ „ლივერპულმა“ დატოვა ქულები მოსკოვში „სპარტაკთან“ – 1:1, არადა, დიდ უპირატესობას ფლობდა.

სხვათა შორის, რუსეთის დედაქალაქს მეორე დღეს „მანჩესტერიც“ ეწვია, თუმცა, თანამემამულეთაგან განსხვავებით, მეტოქე არმიელთაგან ქვა ქვაზე არ დატოვა – 4:1.

გაცილებით რთული ვითარებიდან გამოძვრა ღირსეულად „ჩელსი“, რომელმაც მადრიდის ახალ სტადიონზე გაცილებით მრისხანე მასპინძელ „ატლეტიკოს“ უიღბლო პირველი ნახევრის შემდეგ ტაიმბოლი დაუსვა – 2:1.

აღსანიშნავია, რომ ამჯერად უდანაკარგოდ იბრძოლა იტალიურმა ტრიომ, რომლის ლიდერ „იუვენტუსსაც“ სასტარტო კრახის შემდეგ წაფორთხილების უფლება აღარ ჰქონდა.

რაც შეეხება მთავარ მოვლენებს, ისინი „ პარკ დე პრენსზე“ განვითარდა, სადაც „პსჟ“-მ მორიგი სპექტაკლი დადგა ტრავმირებული ნოიერის გარეშე კრიზისში ჩავარდნილ „ბაიერნთან“ – 3:0.

„ა“ ჯგუფი. ცსკა – „მანჩესტერი“ 1:4, „ბაზელი“ – „ბენფიკა“ 5:0. „მანჩესტერი“ – 6, „ბაზელი“, ცსკა – 3-3, „ბენფიკა“ – 0 ქულა. **18 ოქტომბერს ითამაშებენ:** ცსკა – „ბაზელი“, „ბენფიკა“ – „მანჩესტერი“. **„ბ“ ჯგუფი.** „პსჟ“ – „ბაიერნი“ 3:0, „ანდერლეხტი“ – „სელტიკი“ 0:3. „პსჟ“ – 6, „ბაიერნი“, „სელტიკი“ – 3-3, „ანდერლეხტი“ – 0 ქულა. **18 ოქტომბერს ითამაშებენ:** „ანდერლეხტი“ – „პსჟ“, „ბაიერნი“ – „სელტიკი“. **„გ“ ჯგუფი.** „ატლეტიკო“ – „ჩელსი“ 1:2, „ყარაბაღი“ – „რომა“ 1:2. „ჩელსი“ – 6, „რომა“ – 4, „ატლეტიკო“ – 1, „ყარაბაღი“ – 0 ქულა. **18 ოქტომბერს ითამაშებენ:** „ჩელსი“ – „რომა“, „ყარაბაღი“ – „ატლეტიკო“. **„დ“ ჯგუფი.** „იუვენტუსი“ – „ოლიმპიაკოსი“ 2:0, „სპორტინგი“ – „ბარსელონა“ 0:1. „ბარსელონა“ – 6, „სპორტინგი“, „იუვენტუსი“ – 3-3, „ოლიმპიაკოსი“ – 0 ქულა. **18 ოქტომბერს ითამაშებენ:** „იუვენტუსი“ – „სპორტინგი“, „ბარსელონა“ – „ოლიმპიაკოსი“.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ჰილტონმა უგანა

სუპერპოპულარული ამერიკელი მსახიობი, დიზაინერი და ფოტომოდელი პერის ჰილტონი გვარიანად შეძლებული ადამიანია და ბევრი მისებრ ფეშენ პერსონის მსგავსად ისიც ცდილობს საკუთარი თანხები ისეთ ბიზნესში დააბანდოს, რომელიც ფულსაც ბლომად მოუტანს და შედარებით მყარი შემოსავლის წყაროც იქნება.

ცოტა ხნის წინათ პერისი და მისი ადვოკატები ჩაბმულნი იყვნენ მოლაპარაკებათა ციკლში, რომელიც ამერიკული ფეხბურთის ერთ-ერთი კლუბის აქციების საკონტროლო წილის შეძენის შეთავაზებას მოიცავდა. ამერიკის ბულვარული მედია წერდა, რომ კლუბი თავისი სტადიონითა და სავარჯოშო მინდვრებით პერის ჰილტონს 200 მილიონ დოლარად უნდა ეყიდა.

თუმცა, მრავალი ფიქრისა და მსჯელობის შემდეგ პერისმა ამოდენა თანხის ამერიკულ ფეხბურთში ჩადება გადაიფიქრა. თავად მსახიობს აღნიშნულ ფაქტზე კომენტარი აღარ გაუკეთებია, თუმცა, მისი ადვოკატი ამბობს, რომ ჰილტონის უარის მიზეზი ის მაღალი რისკებია, რაც ამერიკულ ფეხბურთსა და ზოგადად სპორტს ახასიათებს, პერისი კი ის ქალი არაა, ათას პრობლემებზე გადახტომით ნაშოვნი ფული ქარს გაატანოს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ყურადღებით, მომხმარებელო!

ჯერ ეტიკეტი ნახეთ, მერე შეიძინეთ!

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში ლაპარაკი გვქონდა ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტან კვების ზოგიერთ პროდუქტზე. ამ ჯერზე თემას მოსახმარებლად არასასურველი გენმოდიფიცირებულ სურსათზე საუბრით განვაგრძობთ.

ინტერნეტში ხშირად ქვეყნდება არასასურველი გენმოდიფიცირებული კვების პროდუქტების ჩამონათვალი, რომელთა შორის ხშირად ნახავთ **კაკაოს, არაქისს (მიწის თხილს), იმპორტირებულ კარტოფილს, ტკბილ წიწაკას (არასეზონურს), მწვანე ბარდისა და სიმინდის კონსერვებს.**

არადა, ეს მთლად ასე არ არის, რასაც საექსპერტო დასკვნები მოწმობს, რომელთა თანახმად, გენმოდიფიცირებული კულტურების მასშტაბები აშკარად გაბერილია, ამდენად არ შეიძლება ყველა დიდი ზომის პომიდორი გენური ინჟინერიის ნაყოფად ჩავთვალოთ.

სინამვდილეში, დიდი ოდენობით გენმოდიფიცირებულად მხოლოდ ოთხი მცენარე მოჰყავთ, ესენია: **სოიო, სიმინდი, რაფსი (კანოლის ჯიში) და ბამბა** (თანაც ამ უკანასკნელს საკვებში არ მოვიხმართ). გენმოფიდიცირებული სიმინდის წილი კი მსოფლიო ბაზარზე 25 პროცენტია. ის ძირითადად ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში მოჰყავთ, სადაც შაქრის სიროფებისა და ეთილის სპირტის წარმოებაში იყენებენ, 30-40 პროცენტს კი საქონელს აჭმევენ. აი, სწორედ ესაა ცალკე დიდი, თან ნაკლებად შესწავლილი პრობლემა: **ცხოველები გენმოდიფიცირებული სიმინდით იკვებებიან, ჩვენ კი მათ ხორცს და რძის ნაწარმს ვჭამთ.**

კვების სხვადასხვა პროდუქტში ყველაზე მეტად სოიოს იყენებენ, ამიტომ მისი შემცველი სურსათი ჩვენს სუფრაზე გენმოდიფიცირებული საჭმლის მთავარი წყაროა. აქვე აღსანიშნავია, რომ კანადასა და ჩინეთში ოფიციალურად ნებადართულია გენმოდიფიცირებული პომიდვრისა და ტკბილი წიწაკის მოყვანა, აშშ-სა და კანადაში — შაქრის ჭარხლის, ბანგლადეშში — ბადრიჯნის, აშშ-ში — პაპაიას, ასევე ზოგან ნებადართულია გენმოდიფიცირებული კარტოფილის, კაკაოს, მწვანე ბარდისა და არაქისის მოყვანა.

გთავაზობთ იმ სურსათის ჩამონათვალს, რომელიც შესაძლოა კვების გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს შეიცავდეს. კერძოდ, **ასეთი სოიო შეიძლება იყოს ნებისმიერი სახეობის ნახევარფაბრიკატებში (და არა მხოლოდ ხორცისაში); სოიოს რძეში, სხვადასხვა დასახელების ყველში; გენმოდიფიცირებული სიმინდს შეიძლება შეიცავდეს ძეხვეული, სოსისი და ხორცის სხვა ნაწარმი (მაგალითად, ლორი), პურის ფქვილის ნარევი, თავად პური, საკონდიტრო ნაწარმი (კანფეტი, ვაფლი), ასევე საბავშვო კვების პროდუქტები.**

ოთარ ტურაბელიძე

ბესო ხარძიანის მკვლელებს 19 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბესო ხარძიანის მკვლელობის საქმეზე განაჩენი გამოაცხადა. სასამართლომ, მკვლელობის შეკვეთით ბრალდებულ, ძებნილ ოლეკსანდრ დომეტოვს, იგივე ფარიდ გურბანოვს 19 წელი მიუსაჯა, მკვლელობის დახმარების მუხლით ბრალდებულ ოლეგ დოევსაც 19 წელი.

ბიზნესმენ ბესარიონ ხარძიანის, შეკვეთით განზრახ მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ ორ პირს სასამართლომ 19-19 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. ბრალდებულ ფარიდ გ.-ს ბრალად ედებოდა შეკვეთით განზრახ მკვლელობა, ასევე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება. მასვე, ბრალად ედებოდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება. ბრალდებულ ოლეგ დ.-ს კი გამოძიება შეკვეთით, განზრახ მკვლელობაში დახმარებას ედავებოდა.

საქმის მასალების თანახმად, ბრალდებული პირები, მკვლელობამდე 2 თვით ადრე, თბილისში, კიევიდან ჩამოფრინდნენ და დაიწყეს მზადება შეკვეთის სისრულეში მოსაყვანად. მკვლელობის დღეს, 2015 წლის 28 მარტს, 13:43 საათზე, საქმიანი შეხვედრიდან შინ დაბრუნებული ხარძიანი შევიდა საკუთარი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში, სადაც მას შეჰყვა ფარიდ გ. და მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღით სამჯერ ესროლა, მიაყენა სამი შემავალი ცეცხლნასროლი ჭრილობა, მათ შორის ერთი საკონტროლო, თავის არეში. მკვლელობის შემდეგ, ბრალდებული მოპედის მეშვეობით მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. ფარიდ გ.-მ შემთხვევის ადგილის დატოვების შემდეგ, თამარ მეფის ხიდიდან მდინარე მტკვარში გადააგდო დანაშაულის ჩადენის იარაღი, რომელიც მოგვიანებით ამოიღო გამოძიებამ.

საქმეზე სასამართლო განხილვა ბრალდებულების მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა, ვინაიდან მათ დატოვეს საქართველოს ტერიტორია და მათზე გამოცხადებულია საერთაშორისო ძებნა.

სასამართლომ, საქმეში არსებულ და სასამართლო სხდომებზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა. სასამართლო განაჩენით, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, ბრალდებულებს ფარიდ გ.-სა და ოლეგ დ.-ს სასჯელის სახედ და ზომად, თითოეულს 19 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს ძებნილი პირების მიმართ, მათი დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოებში გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში ან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თუ მსჯავრდებულები მოითხოვენ სააპელაციო საჩივრის განხილვას მათი მონაწილეობის გარეშე, — ნათქვამია ინფორმაციაში, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლო ავრცელებს.

72 წლის მარტოხელა ჩაქუჩით მოკლეს!

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლში, 72 წლის მამაკაცს თანასოფლელმა სასიკვდილო დაზიანებები ჩაქუჩით მიაყენა. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, მოკლული მამაკაცი მარტო ცხოვრობდა და ხშირად ავადმყოფობდა. თანასოფლელები ვერ საუბრობენ, რა შეიძლებოდა გამხდარიყო მკვლელობის მიზეზი. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ.

სანთელი

შპს „გზამშენპროექტი“-ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საავტომობილო მშენებლობის ღვაწლმოსილი მუშაკი, აფხაზეთიდან დევნილი

ბონდო მეგრელიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გიორგი ნაჭყებია ოჯახით იუწყება უახლოესი მეგობრის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის

აკაკი ალექსანდრეს ძე ბრეგაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

წყალდიდობა დასავლეთ საქართველოში

ძლიერი წვიმის შედეგად ფოთში რამდენიმე ცენტრალური ქუჩა დაიტბორა. გადაადგილების პრობლემა შეექმნათ ავტომობილებს და ქვეითად მოსიარულეებს. ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ლევან ჩოჩიას ინფორმაციით, ქალაქში მოქმედი შვიდივე სატუმბი სადგური **გამართულად მუშაობს, თუმცა უხვი ნალექის გამო წყალს გადინება უჭირს. ადგილობრივები ამბობენ, რომ ძლიერი წვიმის დროს აღნიშნული პრობლემა მუდმივად არსებობს და სანიაღვრე არხები მოსაწესრიგებელია.**

გასულ ღამეს მოსული ძლიერი წვიმის შედეგად დაიმეწყრა ქობულეთი. მიწის მასა ხუთ სოფელთან ჩამოწვა.თითქმის ერთი საათის განმავლობაში ჩაკეტილი იყო ქობულეთი-ოზურგეთის დამაკავშირებელი ცენტრალური მაგისტრალიც. მოსახლეობის ევაკუაციის აუცილებლობა არ დამდგარა. გვიან ღამემდე მუშაობდა სპეცტექნიკა.

ძლიერი წვიმის შედეგად სახლები დაიტბორა ლანჩხუთის რაიონში. თბილისი-ბათუმის ავტომაგისტრალზე ხიდმა წყლის ნაკადი ვერ გაატარა და წყალწმინდაში ორი ოჯახი დააზარალა. ადგილობრივები ამბობენ, რომ ხიდის გვირაბი წლებია, არ გაწმენდილა და ტერიტორია ყოველი წვიმის დროს იტბორება. საცხოვრებლები მათ საკუთარი ძალებით გაწმინდეს. მოგვიანებით, ადგილზე მივიდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოსახლეობას პრობლემის გადაჭრას დაჰპირდნენ.

ბორჯომის ხეობაში ხანძარი ლიკვიდირებულია

ბორჯომის ხეობაში, დაბა წაღვერის მახლობლად, მთის ფერდობზე არსებულ ტყის მასივში გაჩენილი ხანძარი ლიკვიდირებულია — ოფიციალურ ინფორმაციას ამის შესახებ შსს ავრცელებს:

„შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მეხანძრე-მაშველები, მეტყევეებთან და ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკასთან ერთად, პრევენციის მიზნით, რამდენიმე დღის განმავლობაში ადგილზე დარჩებიან და მონიტორინგს განახორციელებენ.

ხანძრის ქრობის პროცესში ჩართული იყო შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 600 მეხანძრე-მაშველი და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 800 თანამშრომელი.

ვერტმფრენებმა 5 დღის განმავლობაში, ბორჯომის ხეობაში, ტყის მასივში გაჩენილი ხანძარის ქრობის მიზნით, 560 აფრენა განახორციელეს და ცეცხლის კერებს 1175 ტონა წყალი დაასხეს.“ — ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ცხოველი დაგკბენთ, სამედიცინო დაწესებულებას დროულად მიმართეთ“

2015 **წლიდან** დღემდე, საქართველოში ადამიანის ცოფით დაავადების შემთხვევა არ დაფიქსირებულა, — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ ცოფთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ამირან გამყრელიძე მოსახლეობას მიმართავს, რომ ვინაიდან მედიცინა ცოფთან უძლურია, ცხოველის მიერ დაკბენის შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულებას დაუყოვნებლივ მიმართონ.

„დაკბენილ ადამიანთა 80% მოდის ე.წ. პატრონიან ცხოველებზე, ამიტომ მივმართავ მოსახლეობას, კატა იქნება თუ ძაღლი, მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ცხოველი დაგკბენთ, სამედიცინო დაწესებულებას დროულად მიმართეთ. ამ დროს შანსი ნაკლებია, რომ დაკბენის შემდეგ ადამიანი ცოფით დაავადდეს. ქვეყანაში საკმარისი მარაგი არსებობს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის. ცოფთან „თამაში“ არ შეიძლება. ხაზს ვუსვამ, რომ ეს არის ისეთი დაავადება , რომლის განვითარების შემთხვევაში მედიცინა მის წინააღმდეგ უძლურია. ამიტომ, დაავადების თავიდან ასაცილებლად მიმართეთ ექიმს. არსებობს, ძალიან ეფექტური და თითქმის, 100%-იანი დაცვის საშუალება. დაკბენის შემთხვევაში თუ ადამიანი აიცრება, მაშინ ეს არის იმის მყარი გარანტია რომ ცოფი არ განვითარდეს“. — განაცხადა გამყრელიძემ.

აშშ და რუსეთი მთვარის ორბიტაზე კოსმოსურ სადგურს შექმნიან

ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი მთვარის ორბიტაზე კოსმოსური სადგურის შექმნაზე შეთანხმდნენ. პირველი მოდულების ექსპლუატაციაში გაშვება 2024-დან 2026 წლამდეა მოსალოდნელი.

მრავალეტაპიანი პროექტის მიზანი მზის სისტემის უკეთ გამოკვლევაა. როსკოსმოსში განმარტავენ, რომ ორი ქვეყნის კოსმოსური სააგენტოები მთვარის ორბიტასა და მის ზედაპირზე სადგურების შექმნაზე იმუშავებენ. ექსპერტების შეფასებით, ეს ფაქტი ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის დაძაბული ურთიერთობის ფონზე თანამშრომლობის იშვიათი მაგალითია.

რუსეთი ყირიმსა და დანარჩენ უკრაინას შორის კედელს აგებს

რუსეთი ანექსირებულ ყირიმსა და უკრაინის დანარჩენ ტერიტორიას შორის კედლის აღმართვას აპირებს. ეს ინფორმაცია რუსეთის სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავრცელდა.

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის შეფასებით, კედლის აშენება 200 მლნ რუბლი დაჯდება. კონსტრუქცია სიმაღლით ორი მეტრი, სიგრძით კი დაახლოებით 50-კილომეტრი იქნება. სამუშაო 2017 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს.

„პლეიბოის“ დამფუძნებელი გარდაიცვალა

ჟურნალ „პლეიბოის“დამფუძნებელი 91 წლის ასაკში გარდაიცვალა. ჰიუ ჰეფნერის გარდაცვალების მიზეზი ხანგრძლივი ავადმყოფობა გახდა. ჟურნალი ჰეფნერმა 1953 წელს გამოუშვა. „პლეიბოის“პირველი ნომრისთვის მერილინ მონრომ გაიხადა. პოპულარობის ზენიტს ჟურნალმა გასული საუკუნის 70-იან წლებში მიაღწია, როდესაც „პლეიბოი“ 7-მილიონიანი ტირაჟით გამოდიოდა.

თევზების წვიმა მექსიკაში

მექსიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტამაულიპასის შტატის მოსახლეობა უჩვეულო მოვლენის მომსწრე გახდა. ქალაქ ტამპიკოში ციდან თევზები წვიმდა. წვიმა სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ადგილობრივები ვარაუდობენ, რომ თევზები ახლომდებარე ტბიდან ტორნადომ აიტაცა.

უგანდაში ბავშვების მსხვერპლად შეწირვის ტრადიცია აღდგა

უგანდაში მსხვერპლშეწირვის ტრადიცია დაბრუნდა. გამოცემა იუ-ეს თუდეის ინფორმაციით, გვალვის შესაჩერებლად ადგილობრივი ქურუმები ბავშვებს წირავენ.

გავრცელებული ინფორმაციით, 2015-2016 წლებში მსხვერპლშეწირვის რიტუალებზე 9 არასრულწლოვანი მოკლეს. პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი 44 პირი დაიპატიმრა.

გიგანტური ბრილიანტი ჰონგ-კონგის აუქციონზე გააქვთ



ჰონგ-კონგში უდიდესი, 163-კარატიანი ბრილიანტი წარმოადგინეს, რომლის საწყისი ფასიც 30 მილიონ დოლარს აჭარბებს. კრისტის აუქციონის ევროპული ბიუროს ხელმძღანელის თქმით, მას ასეთი საოცარი ზომისა და ფორმის ბრილიანტი ჯერ არ უნახავს. 404-კარატიანი ალმასი, რომლისგანაც შემდეგ უკვე დახვწილი სამკაული შეიქმნა, 2016 წელს ანგოლას საბადოში იპოვეს. ბრილიანტი 14 ნოემბერს ჟენევაში გაიგზავნება, შემდეგ კი აუქციონზე გაიყიდება.

„მთვარეული“ ნუგბარი

„საოცრებათა ქვეყანა“ — ეს ერთ-ერთი იმ მრავალ ეპითეტთაგანია, რომელსაც ჩინეთის — მართლაც საოცარი ქვეყნის მიმართ ხშირად იყენებენ. ამ საოცრებათაგან ერთ-ერთია „იუებინები“ — პატარა „მთვარის ნამცხვრები“, დაახლოებით 10 სმ დიამეტრისა და 4-5 სმ სისქის ნუგბარი.

„იუებინის“ შიგთავსს ტკბილი ლობიოს ან ლოტოსის თესლის პასტა წარმოადგენს, რომელსაც ზოგჯერ სავსე მთვარის სიმბოლოს — მარილიან იხვის კვერცხებს უმატებენ. ზემოდან კი ხშირად იეროგლიფიან ბეჭედს ასვამენ, რომელიც დღეგრძელ სიცოცხლეს ან ჰარმონიას ნიშნავს.

ჩინელ ბიზნესმენებში მიღებულია „იუებინების“ კლიენტებისთვის ან ახლობლებისთვის ჩუქება შემოდგომის შუის დღესასწაულზე, რომელიც მთვარეს ეძღვნება.

მოდი, ჯერ შენი სურათი მანახე...

ამერიკელმა სოციალურმა ფსიქოლოგმა რობერტ ზაიონცმა დაადგინა, რომ უცხო კაცის ფოტოს რამდენიმეწამიანი დემონსტრირებაც შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს საიმისოდ, რომ პირადი შეხვედრისას მისდამი კეთილგანწყობის დონე ერთნახევარჯერ გაიზარდოს.

ამავე მიზეზით ყოველდღიურად ევროპული ტიპის სახეების ცქერის შედეგია, რომ ამ ტიპის სილამაზე ჩვენთვის, ვთქვათ, აზიურის ან ოკეანეთის ტიპის სილამაზეზე უფრო მეტად მომხიბლავი გვეჩვენება.

ადამიანისადმი ჩვენს სიმპათიაზე მოქმედი „სწრაფი ფაქტორებიდან“, ნიუ-მექსიკოს (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერთა აზრით, მისი სახისა და ტანის სიმეტრიულობაა. ის, პირველ ყოვლისა, ამ კაცის დიდ გენეტიკურ მრავალფეროვნებას მოწმობს, რომლის შედეგი ძლიერი იმუნური სისტემაა.

ძვირფას მიცვალებულთა ხმები და ლანდები

ახლოგელთა ხილვა და ხმის გაგონება ნორმალური რამაა, მიაჩნიათ მილანის უნივერსიტეტის ექსპერტებს, რომლებიც იმასაც აღნიშნავენ, რომ მსგავსი ეპიზოდების გავრცელების მაჩვენებელი 30-დან 60 პროცენტამდეა. ისინი უნებურად ხდება და მოგონებებს, როგორც ასეთებს, არ უკავშირდება.

მეუღლის დანაკლისით დადარდიანებული თანამეცხედრენი ხშირად მის ყოფნას გრძნობენ. გამოკვლევათა თანახმად, ათიდან ექვსი ქვრივი ხედავს ან გრძნობს გარდაცვლილ მეუღლეს. მაგალითად, ცოლი ხედავს თავის გარდაცვლილ ქმარს საყვარელ სავარძელში მჯდომარეს, ანდა ქმარს მეუღლის ხმა ესმის.

მსგავსი ეპიზოდების გავრცელების მიუხედავად, ხალხი მათ შესახებ ლაპარაკს ერიდება — ამის მიზეზი ისაა, რომ მათ ეშინიათ ფსიქიკურად დაავადებულებად არ მიიჩნიონ.

საინტერესოა, რომ გარდაცვლილი ადამიანის აღქმა ხშირად იმ ემოციებითაა შეფერილი, რომელსაც ქვრივი ქალი თუ მამაკაცი მეუღლისადმი განიცდიდა. მაგალითად, თუ სიცოცხლეში ქმარი ცოლთან ხშირად ჩხუბობდა, ხშირად მისი ბრაზიანი ხმა შემოესმება ხოლმე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4817; ევრო - 2.9153;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3317;
100 რუბლი - 4.2649; თურქული ლირა - 0.6940;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4619;
1000 სომხური დრამი - 5.2027.

ამინდი 29 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+18
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+19
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge